ოლეგ შიშკინი

ანა კარენინა II

დრამა ორ მოქმედებად

რუსულიდან თარგმნა
ანდრო ბუაჩიძემ

მოქმედი პირები

ანა არკადიევნა კარენინა - მთავრობაში მომუშავე მსხვილი ჩინოვნიკის ცოლი.

ალექსეი ალექსანდროვიჩ კარენინი - მსხვილი ჩინოვნიკი. ანას ქმარი.

ალექსეი კირილოვიჩ ვრონსკი - იმპერატორ ალექსანდრე III-ის ფლიგელ ადიუტანტი, გრაფი.

გრაფინია ვრონსკაია - ალექსეი კირილოვიჩის დედა.

სტეპან არკადიევიჩ ოგლონსკი - მოსკოვის ერთ-ერთი საკრებულოს უფროსი. მას ზოგჯერ სტივას ეძახიან. ანას ძმა.

დოლი - მისი ცოლი.

კონსტანტინ დმიტრიევიჩ ლევინი - მემამულე, ერობის ყოფილი მოღვაწე.

კიტი - მისი ცოლი.

გრაფინია ლიდია ივანოვნა - მდიდარი არისტოკრატი ქალი.

კოზნიშევი სერგეი ივანოვიჩი - პოლიტეკონომისტი, მოაზროვნე.

პშენიცინი - ლიბერალი.

ტუშკევიჩი - პრანჭია, ქარაფშუტა კაცი, ლუი XV-ის მსგავსი.

მაშენკა ჩიბისოვა - დიდი თეატრის მოცეკვავე.

მარია ნორდსტონი - გრაფინია, სპირიტიზმის თაყვანისმცემელი.

ქირურგი - ქალაქის მე-17 საავადმყოფოს პერსონალი.

ივან სიმიონოვიჩ გლაზოვი - ფინანსისტი.

მეეტლე.

მსახური კორნეი.

ვრონსკების მსახური.

ბატონები და ქალბატონების ჯგუფი "ჭორი".

ცირკის კონფერანსიე.

სინემას დირექტორი.

ბალერინა დიდი თეატრის კულისებში.

აუცილებელი წინათქმა

ამ პიესის ავტორს არ დაუსახავს მიზნად პუბლიკის გამხიარულება. ვარაუდი, რომელზეც აიგო ამ დრამის სიუჟეტი, თვითონ ტოლსტოის რომანის ტექსტიდან გამომდინარეობს. ერთ-ერთი გადაკითხვისას წიგნის სავსებით სხვა ტონალობა შევნიშნე. ეს ტონალობა ჩემს ბოლოდროინდელ ფიქრებს დაემთხვა. მე მაღელვებდა იმაზე ფიქრი, თუ როგორ მოქმედებს თანამედროვე ტექნიკა მორალზე და საერთოდ, იმ პროცესებზე, რომლებიც ადამიანის გრძნობად სამყაროში ხდება. ამ კითხვებზე პასუხს ამაოდ ვეძებდი ლიუს მამფორდის წიგნში "მანქანის დაბადება", მარშალ მაკლიუენის თხზულებაში "გუტენბერგის გალაქტიკა", პოლ ვირილიოს "სიჩქარე და პოლიტიკაში" და უმბერტო ეკოს 1998 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციაში "გუტენბერგიდან ინტერნეტისკენ".

ჩვენ ვერც კი შევამჩნიეთ, თუ გადაადგილების სიჩქარემ, ინფორმაციის მიღების სისწრაფემ როგორ იმოქმედა ჩვენს ეთიკაზე, ახლობლებთან დამოკიდებულებაზე. ორთქლმავალმა და ტელეგრაფმა XIX საუკუნის სამყარო ერთ დღე-ღამეში შეცვალა. თუმცა მრავალი წელი გავიდა და ეს მერეღა გავაცნობიერეთ. ტოლსტოიმ ინტუიტურად იგრძნო ვითარება და შექმნა "ანა კარენინა". ეს ნაწარმოები არა მხოლოდ ტრაგიკულ სიყვარულზეა, არამედ იმ ახალ მორალზე, ორთქლმავალმა და ტელეგრაფმა რომ წარმოშვა.

ახლა კი იმ გარემოების შესახებ, რომელმაც აიძულა ავტორი, ტექსტი შეექმნა. "ანა კარენინას" მერვე, დასკვნითი ნაწილი იწყება სიტყვებით: "გავიდა თითქმის ორი თვე" და შემდეგ აღარსად არ გვხვდება ტოლსტოის პირდაპირი ნათქვამი: "ანა კარენინა გარდაიცვალა". სხვა დანარჩენი წინადადებების ახსნა შესაძლებელია. ამან მოგვცა საფუძველი იმ დრამის შესაქმნელად, რომელსაც "ანა კარენინა II" ვუწოდეთ.

პირველი მოქმედება

სცენა 1. სიკვდილის მოლოდინი

მოსკოვი. ქალაქის მეჩვიდმეტე საავადმყოფოს მიმღები. ეს არის იმედების, ადამიანური ტანჯვისა და ტრაგედიების ოთახი. ნაცრისფერი კედლები. შავი იატაკი. და ერთადერთი ჭაღი, სამი მბჟუტავი ნათურით განათებული. დროდადრო თეთრხალათიანებს საკაცით ან ეტლით გაჰყავთ და გამოჰყავთ ავადმყოფები. მაგრამ ეტლი რომ გაივლის, ოთახში ერთი ან ორი მდუმარე ადამიანიც ჩნდება. თანდათან მისაღები ოთახი პიკის საათებში აწრიალებულ სადგურს ემსგავსება. აქ ადამიანები უკვე ერთმანეთს ეკვრიან და სანიტარი რის ვაი-ვაგლახით ახერხებს მათ შორის გაღწევას, რათა მორიგი პაციენტიც გაიყვანოს. ბრბოდან წვალებით გამოდის ჭირურგი. ის უახლოვდება ალექსეი ალექსანდროვიჩ კარენინს, რომელიც ავანსცენაზე მონუმენტივით გაშეშებული დგას.

ᲭᲘᲠᲣᲠᲒᲘ: ალექსეი ალექსანდროვიჩ კარენინი?

ᲙᲐᲠᲔᲜᲘᲜᲘ: დიახ, ეს მე არ. ტელეგრამა მივიღე. და მიუხედავად... მაშინვე აქ გავჩნდი.

ᲭᲘᲠᲣᲠᲒᲘ: ეს ქალბატონი თავდაპირველად სარკინიგზო სადგურის ყაზარმაში დაასვენეს. მაგრამ მალე შემომვლელმა შეატყო, რომ სუნთქავდა და ეტლში გადააწვინა. მადლობა ღმერთს, საავადმყოფო იქვე იყო. მდგომარეობა მძიმეა, თითქმის უიმედო. შემზარავი ჭრილობები აქვს, სიცოცხლესთან ყოვლად შეუთავსებელი. თუკი რამე შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ, მაგრამ თქვენ მზად უნდა იყოთ და ყველაზე უარეს დაბოლოებას უნდა ელოდეთ. ამას პირუთვნელად გეუბნებით, როგორც მამაკაცი მამაკაცს. ეს ყოველ წამს შეიძლება მოხდეს. საშინელი ტანჯვის მიუხედავად, თქვენი ცოლი დროდადრო გონზე მოდის. წამიერად ფხიზლდება და კვლავ იბინდება. ასეთ დროს ჰალუცინაციები და ბოდვა იპყრობს. ის ხედავს ველ-მინდვრებს, ნიადაგს, საიდანაც სხივთა კონა აღწევს. ამ ადამიანში ძლიერია სიცოცხლისადმი ლტოლვა. მაგრამ... გადარჩენის იმედი გადაწურულია. იქნებ ღმერთმა გადმოგვხედოს... *(ჩაფიქრდება)* და მაინც, რეალისტებად დავრჩეთ.

ქირურგი წვალებით მიიწევს ბრბოს შუაგულისკენ და ქრება.

ᲙᲐᲠᲔᲜᲘᲜᲘ *(თავისთვის ლაპარაკობს)*: მართალი იყო გრაფინია, როცა ზედმინევნით ზუსტად თქვა: მხოლოდ ის მოგვანიჭებს სიმშვიდეს, შვებას, ხსნას და სიყვარულსო. რაოდენ ბუნებრივია ეს! ღმერთო! გვიხსენი და დაგვიფარე! მარადიული განშორების წინ! მისი ცხოვრება იდეალად არ გამოდგება. თუმცა სადღაა დღეს იდეალები! რატომ დაიარებიან ისინი ამქვეყნად ღრმა მოხუცებულობამდე და სიკვდილამდე? რატომ? მან გადაწყვიტა თავი მოეკლა, მაგრამ შენ შეგწევს ძალა, შეუნარჩუნო სიცოცხლე, რომელსაც ასე თავქარიანად მიუხურა კარი. ღმერთო, გვიხსენი და დაგვიფარე! გადავსინჯავ მთელ ჩემს ცხოვრებას, უკეთესი გავხდები, მე ხომ მას ყველა ცოდვა მივუტევე და საზოგადოების მითქმა-მოთქმაზეც თვალი დავხუჭე! ადამიანები ხომ ყველას სჯიან და განიკითხავენ. მკაცრად განიკითხავენ. იქნებ შენ, მარადიულო, განსაცდელში ჩამაგდე, როგორც ბედკრული იობი?

ვინ იცის რამდენგზის წავუყრუე და მივუხურე კარი მთხოვნელებს. მათ გამო მოთმინებას ვკარგავდი. არადა, ისინი ბედისგან გასრესილი უილბლო ადამიანები იყვნენ. უკვე ატირებულებს სამარცხვინოდ ვაძევებდი კაბინეტიდან. ახლალა ვაცნობიერებ ამ უბედურებას. ახლა ამიხილე შენ თვალი და დამანახე ქვეყნიერება, როგორც მარადიული მწუხარების სახლი! აქ ტკივილი მეფობს და სიკვდილის რკინისებური კლანჭი ყველას ემუქრება. მაპატიე, მაპატიე, თუნდაც მისი შვილების გამო, წარსულში განცდილი ბედნიერი წუთების გამო! მაპატიე, და უკეთესი გავხდები, უფრო სამართლიანი. და შესაძლებელია ჩემი კაბინეტიდან ისეთი ადამიანები გავაძევო, როგორიც, ვთქვათ, გლაზოვია.

სცენა 2. ძველი ცოდვა

მისაღები ოთახი, საავადმყოფოს მიმღები დროებით კარენინის დეპარტამენტის კაბინეტად გადაიქცევა.

ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲮᲛᲐ: თქვენთან ბატონი ივან გლაზოვი მოვიდა.

ᲙᲐᲠᲔᲜᲘᲜᲘ: სთხოვეთ შემოვიდეს.

შემოდის საკმაოდ ინტელიგენტური გარეგნობის კაცი. ის ოდნავ მოხრილია ბეჭებში და თითქოს უნდა კიდეც, რომ კარენინმა ეს შენიშნოს.

ᲒᲚᲐᲖᲝᲕᲘ: გამარჯობათ! თქვენო აღმატებულებავ!

ᲙᲐᲠᲔᲜᲘᲜᲘ: გამარჯობა, ივან სემიონოვიჩ! როგორ არის შენი საქმეები?

გლაზოვი, მტერს რომ უნდა, ისე.

ᲙᲐᲠᲔᲜᲘᲜᲘ: ნუთუ ასე ცუდად წაგივიდა?

ᲒᲚᲐᲖᲝᲕᲘ: აბა რა იქნებოდა.

ᲙᲐᲠᲔᲜᲘᲜᲘ: მე გავიგე, რომ შენ დიდი ფული გიშოვნია.

ᲒᲚᲐᲖᲝᲕᲘ: ტყუიან. ყველა ტყუის. შური ალაპარაკებთ. და კიდევ უფრო მეტად ბოღმა. გინდ დამიჯერეთ, გინდა არა: შავი პურის ფულს ძლივს ვაქუჩებ.

ᲙᲐᲠᲔᲜᲘᲜᲘ: რაღაც არ მჯერა.

ᲒᲚᲐᲖᲝᲕᲘ: არ გჯერათ და დაიჯერეთ.

კარენინი: *(ირონიულად)* ასე როგორ გაღატაკდი?

გლაზოვი: ცხოვრების ფხა არ გამაჩნია.

კარენინი: არავითარი ფხა არ არის საჭირო. იყავი და იცხოვრე შენთვის.

გლაზოვი: კი, მაგრამ უფულოდ რას გავხდები? კაპიკიც არ მიჭყავის, სად მოვიპოვო პურის ფული? სად?

კარენინი: ივან სემიონოვიჩ, ხელი გაიშვირე და ფულიც თვითონ ჩაგიცვივდება.

გლაზოვი: ალექსეი ალექსანდროვიჩ, ლაპარაკი იოლია! მასწავლეთ, მასწავლეთ, მე საცოდავმა როგორ გავიშვირო ხელი და ცხოვრებაში არ დაგივიწყებთ.

კარენინი: აი, ვთქვათ, ანდრეი პეტროვიჩ პეროვი. სულ ცოტა ხნის წინ ის საინტენდანტო სამსახურის პოლკოვნიკი იყო, ახლა კი მილიონებს ატრიალებს. ამჟამად საქმიანი გარიგება აქვს - სარკინიგზო შტო სადღაც ურალს იქით უნდა გადაისროლოს. მალე კი კიდევ ერთი საარსებო საკითხის მოგვარებას აპირებს: ზარაისკის გუბერნიაში მიწები უნდა მოირწყას და ამით, პროექტის თანახმად, ადგილობრივ უცხოტომელთა მდგომარეობა გაუმჯობესდება. მას უკვე სუბსიდიასაც აძლევენ.

გლაზოვი: ეტყობა, წმინდა კაცია!

კარენინი: წმინდაა თუ არა, ეს მხოლოდ უფალმა უწყის. ის კი აშკარაა, რომ ამ კაცმა თავის საქმე იცის. და არც არავის წყენა სურს.

გლაზოვი: იქნებ წერილი მისწეროთ და შეატყობინოთ, რომ არსებობს ერთი სულელი, შტერი და უპოვარი, თუმცა კარგი ადამიანი, და თავისი ხანდაზმულობის მიუხედავად, სურს თქვენგან ჭკუა ისწავლოს-თქო. აი ასე უთხარით. თქვენი სახელი ხომ მთელ დეპარტამენტშია გავარდნილი-თქო.

კარენინი: რა გინდა, რომ მისგან შეითვისო?

გლაზოვი: ხელების წებოვანება.

კარენინი: რას ნიშნავს ეს? რაღაც ფოკუსები? მაგრამ ის ხომ სერიოზული ადამიანია.

გლაზოვი: აი, შეხედეთ ალექსეი ალექსანდროვიჩ. *(მაგიდისკენ მიუთითებს)* აქ სუფთა ქაღალდი დევს. ქაღალდს ხელისგული დავადე, მაგრამ არ ამყვა. იმიტომ, რომ წებოვანი ხელი არა მაქვს. არადა, რუსეთში არიან ადამიანები, რომელთაც ხელზე ქაღალდი ეკრობათ, უფრო მეტის თქმაც შეიძლება, სუფთა ქაღალდი მიეკრობათ და მერე ეს ქაღალდი სახაზინო ბილეთად ან ასიგნაციად იქცევა.

კარენინი: რისი ცოდნაა საჭირო, რომ ეს მოახერხო?

გლაზოვი: შელოცვა უნდა იცოდე.

გლაზოვი წყვდიადში ქრება. კარენინი ნერვიულად იწერს პირჯვარს.

კარენინი: როგორი გონებამჩატე მატყუარაა! თუმცა არც მე დავაკელი. ის სულ ტყუოდა. მისი ცხოვრება და წარმატება ტყუილზეა აღმოცენებული, ტყუილზე და ქურდობაზე. ეს არის მისი პური არსობისა.

ხმა: შენ რაღას აკეთებდი, ალექსეი ალექსანდროვიჩ, მთელი შენი შეგნებული ცხოვრება?

კარენინი: *(გულწრფელად ინანიებს და ტირის)* ღატაკებს ჩანთებს ვართმევდი.

ხმა: აბა წარმოიდგინე, რომ კეთრი შეგეყარა, სახლი დაგეწვა, ფული შემოგეფლანგა და ხელგაწვდილი დადიხარ რუსეთში. ალექსეი ალექსანდროვიჩ, როგორ ფიქრობ, შეგეწევიან?

კარენინი: არ ვიცი.

ხმა: არა, არ შეგეწევიან. იმიტომ, რომ შენ ყველასთვის აჩრდილი ხარ.

სცენა 3. თვითმკვლელი ქალის აღდგომა

მოქმედება კვლავ ქალაქის მეჩვიდმეტე საავადმყოფოს მიმღებში მიმდინარეობს. კარენინის გვერდით ქირურგი დგას.

ქირურგი: ალექსეი ალექსანდროვიჩ, კრიზისმა ჩაიარა. მგონი, თქვენი ცოლი გადავარჩინეთ.

კარენინი: რა?

ქირურგი: თქვენი ცოლი ცოცხალია. მაგრამ არსებობს ისეთი რაღაცები, რასაც უკან ვერ დააბრუნებ.

კარენინი: რას გულისხმობთ?

ქირურგი: ძალიან სერიოზული ტრავმები იყო. მაგრამ... თქვენ ხომ მამაკაცი ხართ, უნდა გაუძლოთ.

კარენინი: დიახ, დიახ, მესმის.

ქირურგი: საქმე ისაა, რომ არსებობს ისეთი რაღაცები, რასაც ველარ დაიბრუნებ. უბრალოდ წარმოუდგენელია. ეს არის, როგორც ლათინურად ამბობენ, ლექს ფატი - ბედისწერის კანონი. და ამ კანონების შეცვლა ჩვენ არ ძალგვიძს. გაგებით უნდა მოვეკიდოთ იმ ფაქტს, რომ თქვენი ცოლი... რამდენადმე გამოიცვალა.

კარენინი: მესმის.

ქირურგი: არა, მე მგონი, თქვენ არ გესმით, დიახაც, არ გესმით. მერე და მერე ალბათ მიეჩვევით. თქვენი ცოლი... როგორ უნდა ვთქვა ეს? მომხდარის შემდეგ მას ხელის და ფეხის ამპუტაცია გავუკეთეთ. ამასთანავე, თავის ტრავმა ისეთი სერიოზული იყო, რომ მან ერთი თვალი დაკარგა. სამაგიეროდ, სიცოცხლე შევუნარჩუნეთ. თქვენ თქვით რაიმე? არა? არაფერი არ გითქვამთ? ტანჯვა რომ შეგვემსუბუქებინა, ცხენის დოზა მორფიუმი შევუშხაპუნეთ.

კარენინი: *(ქვითინებს)* მიჭირს მისი წარმოდგენა. ის ხომ ქალია, და ყოველივე დაკარგა, რაც სილამაზეს სძენდა.

ქირურგი: მომიტევეთ, ყველაფერს ვერ შეინარჩუნებ. ცხოვრება ხომ მუდმივი დანაკარგებისგან შედგება. ზოგი კბილს ჰკარგავს, ზოგი თითს, ზოგი კი რაღაც უფრო მეტსაც. თუმცა ყოველივე ამის დატოვება განგ-

რენას და სიკვდილს გამოიწვევს. ყოველდღე ამით ვარ დაკავებული. და ამასთანავე, მადასაც ვინარჩუნებ.

კარენინი: ეს ხომ თქვენი მოვალეობაა. აკი ჰიპოკრატეს ფიცი გაქვთ დადებული.

ქირურგი: ჰო, რა თქმა უნდა! მაგრამ აი ამას ნინათ რას ვფიქრობდი: მე ხომ მხოლოდ იმით ვარ დაკავებული, რომ მისაღები ოთახიდან, უკაცრავად და, საცხედრემდე მანძილს ვაგრძელებ.

კარენინი: საინტერესოა, ყველაზე მეტად რა გტანჯავთ?

ქირურგი: ყვირილი. ყვირილს ვერ ვიტან. ჩემს ნერვებზე მოქმედებს. და თან იმდენი ოფლი მდის, გეგონება ცხენის ექიმბაში ვიყო. მაპატიეთ, ჩემი წასვლის დროა. დღეს მძიმე დღეა: ქალაქის ყველა კუთხიდან დასახიჩრებულები მოჰყავთ. ჯოჯოხეთური სამუშაოა!

ქირურგი ბრბოს გაარღვევს და გაუჩინარდება.

სცენა 4. ყმათა საუბარი

ბრბოდან გამოდიან მეეტლე და მსახური

მსახური: ბატონს სანუხარი აქვს! მისი ცოლი მატარებელმა გაიტანა, თუმცა ცოცხალია.

მეეტლე: მე კი ჩემს ცოლს გუშინ მთელი დღე ვამათრახებდი.

მსახური: რატომ ამათრახებდი?

მეეტლე: არაფრის გამო, უბრალოდ, ისე. დავთვერი და მოწყენილობამ შემიპყრო. ცუდად ჯდომას, ცუდად შრომა სჯობიაო.

მსახური: მაგას ვერ მოგიწონებ.

მეეტლე: ფეხებშეკრული დირეზე ჩამოვკიდე და იქამდე ვამათრახებდი, ვიდრე მათრახი არ გადამიტყდა!

მსახური: ემანდ ფრთხილად იყავი: როცა ჩათვლემ, შეიძლება თავში ჩაგკრას და გაგათავოს!

მეეტლე: მომკლავს და მომკლას! სიკვდილი მაინც არ ამცდება. საქონელივით ვცხოვრობ. საქონელზე უარესადაც.

მსახური: მე ქალების ცემა არ შემიძლია, გული მეწურება ხოლმე.

მეეტლე: გული სადღა გვაქვს? საგულეში ქვა გვიდევს!

სცენა 5. შეცნობა

კარენინის პირველი შეხვედრა დასახიჩრებულ ანასთან. პალატაში სახევებში გამოხვეული ანა კარენინა წევს. მას სხეულის არც ერთი ნაწილი არ უჩანს და რალაცით შეხვეულ ეგვიპტურ მუმიას გვაგონებს. მხოლოდ თავზე აქვს მარჯვენა თვალთან პატარა ღია ადგილი დატოვებული. კარენინი ქირურგის თანხლებით ანას საწოლს უახლოვდება.

კარენინი: გამარჯობა, ანა!

ანა: თქვენ ვინ ხართ?

(კარენინი ქირურგისკენ ბრუნდება)

ქირურგი: მეხსიერება ნაწილობრივ დაკარგა. ამნეზია, აფაზია.

კარენინი: მე შენი ქმარი ვარ, ალექსეი ალექსანდროვიჩ კარენინი.

ანა: მართლა? კი, გიხსენებ. შენ...

(ხანგრძლივი დუმილი)

კარენინი: *(ქირურგს ეჩურჩულება)* რატომ დუმს?

ქირურგი *(იხრება ანა კარენინას თავთან, თვალში აშტერდება, მერე ისევ კარენინთან მიდის და მას ყურში ეუბნება)*: თქენი ცოლი ტირის, თვალი სველი აქვს.

კარენინი: *(ჩურჩულით)* აი, თურმე რა ხდება! *(ნორმალური ხმით)* მე შენი ქმარი ვარ, ანა.

ანა: უკვე გამახსენდით. ასე რატომ დაბერებულხართ?

კარენინი: *(ქირურგს შეჰყურებს, ის ხელებს შლის)* მე ყოველთვის ასეთი ვიყავი... უფრო სწორად, ბოლო ხანს... უფრო სწორად, ჩვენი ქორწილის დღიდან.

ანა: უცნაურია. თქვენ ყოველთვის მოხუცი იყავით. მაგრამ ეს შეუძლებელია. განა თვითონ არ გესმით, რომ შეუძლებელია, ადამიანი მუდამ მოხუცი იყოს?

კარენინი: რა თქმა უნდა, ოდესღაც ახალგაზრდა ვიყავი. მაგრამ წლები თავისას შვრება. ჩვენი ქორწილის დროს უკვე ასაკოვანი ვიყავი. ჩვენ ძალიან გვიან შევხვდით ერთმანეთს.

ანა: უცნაურია. თითქოს მეცნობა თქვენი სახე და იმაზეც თანახმა ვარ, რომ ჩემი ქმარი ხართ, მაგრამ ვერ გამიგია და არ მესმის, როგორ შევძელი თქვენი შეყვარება. გათხოვება კი მხოლოდ სიყვარულით შეიძლება, მე ასე მეუბნებოდნენ.

ქირურგი: ანა არკადიევნა, თქვენ უბედურება დაგატყდათ თავს - სარკინიგზო ტენდერზე დაეცით, როცა პლატფორმის გასწვრივ სატვირთო შემადგენლობა მიემართებოდა. თქვენ ჩირქოვანი ქირურგიის განყოფილებაში იმყოფებით.

ანა: და მერე რა მოხდება?

ქირურგი: მერე... ალექსეი ალექსანდროვიჩი შინ წაგიყვანთ და ექიმის ყურადღება არ მოგაკლდებათ. ეს შესაძლებელია.

ანა: მომიტევეთ ექიმო, მაგრამ ასე მგონია, რომ ყოველივე ეს საგანგებოდაა მოწყობილი. მე უნდა მოვმკვდარიყავი და მინაში ჩავწოლილიყავი, ვიღაცამ კი ისე მოაწყო საქმე, რომ მკვდრეთით აღვდექი.

ქირურგი: ჩვენ უბრალოდ გადაგარჩინეთ. უკვე სიკვდილის პირას იყავით. განა ვის შეეძლო ყოველივე ამის მოწყობა? გწამდეთ - თქვენი აღდგომა ჩვენი ძალისხმევით მოხდა. ბეწვზე ხართ გადარენილი. რა თქმა უნდა, აქ ღმერთის ხელი ურევია *(პირჯვარს ისახავს)*. უფალს ჯერ კიდევ სჭირდებით, ნათესავებსაც. მათ უეჭველად სჭირდებით. ძალიან სჭირდებით.

სცენა 6. ჭორი №1

სცენაზე ადამიანების ჯგუფი გამოჩნდება: ორი ბატონი და ორი ქალბატონი. ისინი დედაქალაქში გავრცელებულ ჭორებს განასახიერებენ.

1-ი ბატონი: მართლაც თავშესაქცევი ამბავი შეემთხვა კარენინს!

მე-2 ბატონი: ნამდვილად. მისი ცოლი სახიჩრად იქცა. არადა, დამნაშავეა ვრონსკი.

1-ი ბატონი: ვრონსკისაც შემიძლია გავუგო. ნამდვილი მზეჭაბუკია, ერთი ქალიც არ გაუშვა ხელიდან. აქ კი ასეთი კაზუსი მოხდა.

მე-2 ბატონი: ქალებს კარგად ვიცნობ და გულწრფელად გეტყვით: მას ნებისმიერი ქალი მისცემდა.

1-ი ბატონი: ახ, რა უხეში ხართ!

მე-2 ბატონი: სამაგიეროდ, იმ პოლკში, სადაც ვრონსკი მსახურობდა, თავაზიანი და ფაქიზი ოფიცრები უძღვებიან საქმეს. გვარდიის ამ ოფიცრების ნახევარზე მეტი ჰომოსექსუალისტია! ზამთრის სასახლეში ყველამ იცის ამის თაობაზე, მაგრამ ყველანი სდუმან. იმიტომ, რომ მამათმავლობა მოდაშია.

1-ი ქალბატონი: ჰო, მართლა შავ დღეში ჩავარდა ანუშკა.

მე-2 ქალბატონი: აღარც ხელი აქვს, აღარც ფეხი და აღარც თვალი! ადამიანია კი ის ამის შემდეგ? ან ქალი კი არის?

1-ი ქალბატონი: მაგრამ ხომ იცით მამაკაცები სხვა რამის მიხედვით მსჯელობენ ქალზე *(ორივე ქალბატონი იცინის)*.

მე-2 ქალბატონი: მე ძალიან მაინტერესებს, რა ბედი ეწია ანა კარენინას მოკვეთილ ნაწილებს? დამარხეს ისინი თუ დაწვეს? თქვენ ხომ არ იცით?

სცენა 7. ანას მდგომარეობა

კარენინების სახლი. ალექსეი ალექსანდროვიჩ კარენინი შემოდის ოთახში, სადაც საგანგებო სავარძელ-ეტლში სახვევებში გახვეული ანა თვლემს. უკვე ნაკლები სახვევები აქვს შემოხვეული. გარკვევით ჩანს მარჯვენა ხელის და მარცხენა ფეხის გადანაჭერი. ცალი თვალი შავი ლენტით აქვს ახვეული.

კარენინი რწყავს ყვავილებს, ანა იღვიძებს.

ანა *(იგრძნობს, რომ მის ზურგსუკან კარენინი დგას, მაგრამ ავადმყოფს მიბრუნება არ შეუძლია)*: აქ ვინ არის?

კარენინი: ეს მე ვარ, ყვავილებს ვრწყავ. როგორ დამჭკნარა!

ანა: რატომ მოახლე არ აკეთებს ამას?

კარენინი: მოახლე შენ გივლის და საკმაოდ დიდი ჯაფა ადგას. შენი მოვლა იოლი არ არის.

ანა: მერე რა იქნება?

კარენინი: რას გულისხმობ?

ანა: მე რომ გამოვკეთდები, მერე რა მოხდება?

კარენინი: მაშინ... მერე პროტეზზე უნდა ვიზრუნოთ.

ანა: ნუთუ ყირიმის ომის ინვალიდს დავემსგავსები? მახსოვს, ბავშვობაში ჩვენს მამულში იყო ერთი ასეთი კაცი. ის როცა ქუჩაში მოდიოდა, მე და ჩემი ძმა სტივა ყვირილით გავრბოდით. შემზარავი იერი ჰქონდა.

კარენინი: ყველაფერი არცთუ ისე ცუდად დასრულდა. უარესი შეიძლებოდა მომხდარიყო.

ანა: ჰო, მე ეგეც ვიფიქრე.

კარენინი ყვავილების მორწყვას თავს ანებებს და რამდენიმე ნაბიჯს დგამს.

კარენინი: მისმინე, ანა! არსებობს ერთი ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც უნდა გაითვალისწინო. როგორც ხედავ, ამ სახლში შენს გარდა სხვა ქალიც ცხოვრობს...

ანა: გრაფინია ლიდია ივანოვნა!

კარენინი: ხო, არ ვიცი შენი დამოკიდებულება...

ანა: რა დამოკიდებულება უნდა მქონდეს იმ ქალთან, რომელიც ჩემს ვაჟიშვილთან შეხვედრას აფერხებდა? სიტყვამ მოიტანა და როგორ არის სერიოჟა? სად არის?

კარენინი: ის ჯერჯერობით სოფელშია. გადავწყვიტეთ არ შეგვეწუხებინა. ასეთ დღეში რომ ენახე, თავისი დაემართებოდა. ბოლოს და ბოლოს რა უნდა მეთქვა მისთვის?

ანა: სიმართლე.

კარენინი: სიმართლე? რა სიმართლე? ის, რომ ჩვენს ოჯახში ადიულტერი დამკვიდრდა და დედამისმა კავალერიის ოფიცერთან დაძინება არჩია? მაპატიე, ანა, მაგრამ გადავწყვიტე, ეს ფრანგული ლიბერალიზმი ჩვენებური ტყუილ-მართლით შემეცვალა. ვუთხარი, რომ ავად ხარ და სერიოზული დასვენება გესაჭიროება. შენთვის ძნელი წარმოსადგენი იქნება, თუ რას ნიშნავდა შენივე შინ, ჩვენს სახლში დაბრუნება. ალბათ დამეთანხმები, რომ სერიოზულად ავად ხარ.

ანა: დაამატეთ, ფიზიკურად და ზნეობრივად.

კარენინი: მორჩი!

ანა: ალექსეი ალექსანდროვიჩ, ხომ ვერ მეტყვით, როგორ გაჩნდა სახლში გრაფინია ლიდია ივანოვნა?

კარენინი: მაშინ, როცა ჩვენი განშორება აშკარა შეიქნა, ის ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც გვერდით დამიდგა. უაღრესად მადლიერი ვარ მისი. ლიდია ივანოვნა თავისი ნებით მოვიდა ჩემთან და მთხოვა მიმეღო მისივე სურვილი შეწევნისა და დახმარებისა. მან სამეურნეო საქმე იტვირთა და ამით მრავალი საზრუნავისგან გამათავისუფლა. შემიმსუბუქა ტანჯვა და მოგონებების სიმძიმე. შენი არსებობის სიმძიმე. ამჟამად ის შენს გამოჯანსაღებაზე ზრუნავს. ექიმის გამოძახება, მოახლეთა გარჯა, რეცხვა და დასუფთავება - ყოველივე ეს მის კისერზეა.

ანა: მე ვფიქრობ, თქვენს ორმხრივ გულითადობას კიდევ რაღაც აღლავს. არა მგონია, მხოლოდ სულთა ნათესაობა განაპირობებდეს ასეთ საქციელს.

კარენინი: ლიდია ივანოვნას იღბალი ჩემზე არანაკლებ მწარეა. ლოთმა და ერთთავად მოქეიფე ქმარმა მიატოვა. განქორწინებას ვერ ეღირსა. მას აქეთ ეს ქალი მარტო ცხოვრობს.

ანა: მაშ, თქვენ შორის არაფერი მომხდარა?

კარენინი: ანა! მოათავე! ლიდია ივანოვნა წმიდათაწმიდაა! თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ საზოგადოებაში ჩვენზე უკვე ჭორაობენ. ეს ჭორები ყოვლად უსაფუძვლოა, ლიდია ივანოვნა ჩემი მეგობარია და სხვა არაფერი.

ოთახში შემოდის გრაფინია ლიდია ივანოვნა. მის გვერდით მოახლე ქალი ირჯება ლანგრით ხელში. ის ანას სასთუმალთან, პატარა მაგიდაზე დგამს ლანგარს.

ლიდია ივანოვნა: გმადლობთ, დუნიაშა, თავისუფალი ხარ.

მოახლე მიდის.

ანა: ახლა რა მოხდება?

კარენინი: ახლა გრაფინია ლიდია ივანოვნა გაჭმევს საჭმელს.

ანა: რატომ ის და არა მოახლე ქალი?

კარენინი: იმიტომ, რომ თვითონ ლიდია იანოვნამ მთხოვა. მას ქრისტიანული სიყვარულისა და სათნოების გამოხატვა სურდა და მეც ავუსრულე თხოვნა.

ანა: ჰო, მაგრამ მე არ მინდა, რომ მან...

კარენინი: უნდა მოისურვო. ლიდია ივანოვნა ჩემი უკაასკნელი საყრდენია ამ სიცრუით, გამცემლობით და პირფერობით სავსე ქვეყანაში! ამ სიმდაბლის და სისასტიკის, დიახ, დიახ სისასტიკის განსახიერება მხოლოდ და მხოლოდ შენ იყავი! შენ ჩირქი მომცხე მთელი პეტერბურგის თვალში. ოპერაში უკვე თავი აღარ გამომეყოფა. ჩურჩული, გულისწამღები ჩურჩული ედება მთელ ნევის პროსპექტს. და ყველა მუდრეგი ატრიალებს ჩემს სახელს! თითქოსდა დამემსახურებინოს ეს სირცხვილი!

ლიდია ივანოვნა: იქნება წავიდე? მგონი უდროო დროს შემოგესწარით.

კარენინი: ცოლ-ქმრის ჩხუბი მავანს მართალი ეგონაო. დიახაც, რომ კარგ დროს შემოგვესწარი. ავადმყოფს გარკვეული რეჟიმი უნდა ჰქონდეს, მხოლოდ მაშინ შეძლებს გამოჯანსაღებას. *(ანას მიმართავს, უწინდელი ტონით)* ანა, ახლა შენ შენსვე თავს ეკითხები, რატომ გადავრჩიო. მშვენიერი კითხვაა! მე გიპასუხებ: იმიტომ, რომ უფალი შენზე ძლიერია! მას სურდა, რომ ეს საუბარი გამართულიყო! მას სურდა, რომ წმიდათაწმიდა ლიდია ივანოვნას, რომელსაც შენ დასანახადაც ვერ იტან, დიახ, არ შემედავო, ვერ იტან, - შენთვის პირი ფაფით გამოეტენა!

ლიდია ივანოვნა აჭმევს ანა კარენინას.

კარენინი: *(წყნარად მიმართავს ლიდია ივანოვნას)* რას შვრება, ჭამს?

ლიდია ივანოვნა: შუბლს იჭმუხნის, მაგრამ ჭამს.

კარენინი: ძალიან კარგი, მშვენიერია! მადლობაც უნდა თქვას. მე ხომ შემეძლო, ის ტიუმენში დავრდომილთა თავშესაფარში გამეგზავნა და მეთქვა, სული განუტევა-თქო. აკი კოზნიშევი ასე მოექცა თავის სნეულ ცოლს. მაგრამ მე ქრისტიანი ვარ. არა! ასეთი რამ აზრადაც კი არ მომივა!

ანა: *(პირს უქცევს ლიდია იანოვნას გაწვდილ კოვზს)* მაპატიე, ალექსეი ალექსანდროვიჩ, მაგრამ კოზნიშევიც ხომ ქრისტიანია.

კარენინი: ის ინგლისური ტიპის ლიბერალია. ლიბერალიზმი და მართლმადიდებლობა კი შეუთავსებელია. ჩვენს ლიბერალებს წკეპლა უნდა შემოჰკრა, რომ ქურდობას თავი ანებონ. და ეს შენ ჩემზე კარგად იცი. აი, ავღელდი და გულმაც ჩამჩხვლიტა. ჯანდაბა!

ლიდია ივანოვნა: მიგიყვანოთ კაბინეტამდე?

კარენინი: არ მინდა, თვითონ გავუმკლავდები. *(საქმიანად)* ანა, შენ დღეს მძიმე დღე გაქვს. წუთი წუთზე სტივა და ლევინი მოვლენ. წუხელ მთხოვეს შენი მონახულება და ბუნებრივია, დავთანხმდი.

ლიდია ივანოვნა: ალექსეი ალექსანდროვიჩ, გახსოვთ, კაბინეტში რომელიღაც ქაღალდების გადახედვას აპირებდით, რაღაც საქმე გქონდათ?

კარენინი: ხო, საქმე მქონდა! კინაღამ დამავიწყდა. მაშ, დროებით დაგტოვებთ.

სცენა 8. გაკვეთილი

იგივე ოთახი. იგივენი.

ლიდია ივანოვნა: აი, ჭამასაც მოვრჩით.

ანა: კმაყოფილი ხართ, ლიდია ივანოვნა?

ლიდია ივანოვნა: რას გულისხმობთ, ძვირფასო?

ანა: მთელი ამ სცენით, კმაყოფილი ხართ?

ლიდია ივანოვნა: კმაყოფილი ვარ. რადგან ის, რაც მოხდა, თქვენთვის დიდი გაკვეთილი უნდა იყოს, იქნებ მკაცრი, მაგრამ ამავე დროს სამართლიანი გაკვეთილი. ეს შემთხვევა სხვებისთვისაც ჭკუის სასწავლი უნდა იყოს.

ანა: ეს უნდა იყოს ჭკუის სასწავლი? თავიდან ფეხებამდე დასახიჩრებული ვარ. სილამაზის ნიშანწყალიც კი არ შემრჩა. ჩემგან კი რაღაა დარჩენილი? მხოლოდ და მხოლოდ ჭრილობები. რა გაკვეთილზე შეიძლება ისაუბრო?

ლიდია ივანოვნა: გაკვეთილი ძალზე მარტივია: არ იმრუშო, არ დაარღვიო მცნებები. ზღურბლს არ გადააბიჯო. მარტივი გაკვეთილია. შეხედეთ დღევანდელ გოგონებს. ისინი სულაც არ ჰგვანან წინანდლებს. მრავალი მათგანი პარიზში სიარულმა და გაფუჭებული რომანების კითხ-

ვამ გარყვნა. თქვენც, ანა არკადიევნა, ბევრ შეკითხვას სვამთ, იმის ნაცვლად, რომ...

ანა: რის ნაცვლად?

ლიდია ივანოვნა: იმის ნაცვლად, რომ იწვეთ და ილოცოთ.

ანა: ვილოცო? ლოცვა მოწყენას მგვრის.

ლიდია ივანოვნა: აი, სწორედ ეს არის, ეს გველის და გვემუქრება.

ანა: მაინც რა გველის?

ლიდია ივანოვნა: ცხოვრების სიცარიელე, ურწმუნოება და თავაშვებულობა.

კარი უეცრად იღება და ოთახში შემოდის სტივა ობლონსკი, ანას ძმა. შემდეგ ლევინიც გამოჩნდება. სტივა საწოლზე დაემხობა და ქვითინებს.

ოგლონსკი: ანუშკა, დაო, ეს რა გვიქნია, როგორ აგვაწრიალე და დაგვაღონე? რატომ გვაწვალებ და გვტანჯავ? ჩვენ ხომ შენი ერთგულები ვართ. რატომ ჩქარობდი ასე იქ, უფსკრულში გადაჩეხვას?

ანა: იმიტომ, რომ აქ, სტივა, მე ზედმეტად ვიგრძენი თავი. მეტი ტანჯვა აღარ შემეძლო. გავბედე, მაგრამ როგორც ხედავ... ბედმა მიმტყუნა.

ოგლონსკი: გაჩუმდი, თავს ნუ ისულელებ. ჩვენ მთელი ღამე არ გვიძინია, შენს გამო ვლოცულობდით. და აი შენც გადარჩი. ეს კარგია! ეს კონსტანტინ დიმიტრიევიჩ ლევინია. გახსოვს ეს კაცი?

ანა: მაპატიე, სტივ, მაგრამ, მგონი ჯერჯერობით სრულ ჭკუაზე ვარ. რა თქმა უნდა, ვიცანი. ის ჩვენი შესანიშნავი კიტის მეუღლეა.

ლევინი: ანა არკადიევნა, ნება მოგვეცით ჩვენი თანაგრძნობა გამოვხატოთ, ჩემი და კიტის ღრმა თანაგრძნობა.

ანა: ლიდია ივანოვნა, ერთი აუცილებელი თხოვნა მაქვს თქვენთან.

ლიდია ივანოვნა: რა გნებავთ?

ანა: იქნებ ერთი წუთით დამტოვოთ?

ლიდია ივანოვნა: არა, ალექსეი ალექსეევიჩმა მთხოვა, მოახლის მოსვლამდე არ მიატოვოო. *(სტუმრებს)* ბატონებო, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მას შემდეგ, რაც ეს ამბავი მოხდა, ანა არკადიევნას ერთი წუთითაც არ ვტოვებთ.

ლევინი: ლიდია ივანოვნა, ჩვენ ყველანი ამიტომაც ვართ მადლიერნი. ანას ნუ გაუწყრებით. ის უკვე მეტისმეტად იტანჯა.

ლიდია ივანოვნა: ეს მართალია, მაგრამ ყოველ ტანჯვა-წამებას, კონსტანტინ დმიტრიევიჩ, თავისი აზრი აქვს. მე ხომ, ვთქვათ, ალექსეი ალექსანდროვიჩის დასახმარებლად ჩემი ნებით მოვედი და მხოლოდ ერთი რამ მინდა საზღაურად მივიღო - გაგება და მადლიერება. ეს ჩემი მოვალეობაა უფლის წინაშე.

ანა: მერედა რა, ჩემი ქმარი განა არ გიხდით?

ლიდია ივანოვნა: თქვენ წარმოიდგინეთ, არა. არსებობს სხვა ღირებულებები, რომლებიც ოქროს ფულზე მეტს იწონის.

ლევინი: ანა არკადიევნა, ეს როგორლაა?

ანა: ახლა ამაზე ლაპარაკი ნაგვიანევია. ცხოვრება გრძელდება, კონსტანტინ დმიტრიევიჩ.

ლევინი: აჰ, ანა არკადიევნა!

ანა: რა?

ლევინი: არაფერი. უბრალოდ, თანაგიგრძნობთ.

ოგლონსკი: იცი, ანა, კონსტანტინმა ძალიან ინერვიულა, როცა შენი უბედურება შეიტყო და მოსვლა რომ გადაეწყვიტე, ჩემთან ერთად ყოფნა მოისურვა.

ლევინი: სტივა, გთხოვ... ნუ მაქებ, ხომ იცი, რომ ქება არ მიყვარს.

ოგლონსკი: კონსტანტინ, მაგრამ ეს ხომ სიმართლეა. მე მახსოვს, როგორ მოგიწყლიანდა თვალები, როცა დეპეშა წაიკითხეთ, ცოტაც და აქვითინდებოდი. მერე კი ჩემს მეუღლეს დოლის უთხარი: მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალიაო!

ლევინი: დიახ, ეს მართალია, ანა არკადიევნა, ასე იყო. მაგრამ ამ სიტყვებს მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ. სტივას უბრალოდ იმის თქმა სურს, რომ მე აქ შემთხვევით არ აღმოვჩნდი.

ლიდია ივანოვნა: ბატონებო, მგონი ანა არკადიევნა გადაიღალა. თქვენი გასტუმრება მომიწევს.

ანა: რატომ ასე ნაჩქარევად?

ლიდია ივანოვნა: იმიტომ, რომ თქვენ ჯერ კიდევ ძალა უნდა მოიკრიბოთ. ეს საუბარი კი, პირიქით, ძალას გართმევთ.

სცენა 9. რომანის დაბადება

კარენინების სახლი. კარენინის კაბინეტი. ალექსეი ალექსანდროვიჩი მაგიდასთან ზის და რაღაცას წერს. კაბინეტში შემოდის მსახური.

მსახური: ალექსეი ალექსანდროვიჩ, ბატონო, თქვენთან სტუმარია.

კარენინი: ეს ვიღაა ნეტავ?

მსახური: ბატონი კოზნიშევია, სერგეი ივანოვიჩი.

კარენინი: შემოვიდეს.

შემოდის კოზნიშევი.

კარენინი: სალამი, ძვირფასო. ამას წინათ გრაფინია ლიდია ივანოვნა და მე თქვენ გიხსენებდით.

კოზნიშევი: უყურე შენ!

კარენინი: "გოლოსში" თქვენი სტატია წავიკითხეთ, რომელიც ჩვენსა და ევროპის სარკინიგზო ხაზებს ეხებოდა. უნდა გითხრათ, რომ თქვენი ნიჭიერების მრავალმხრიობამ გაგვაოცა.

კოზნიშევი: ეს თემა რუსი ადამიანისთვის საჭირბოროტოა. ხომ ხედავთ, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ. თუმცა მაგისტრალების სიგრძე ჩვენდა სასიხარულოდ იზრდება, და განრიგების რიცხვიც მატულობს.

კარენინი: *(საიდუმლოდ)* თქვენი მშურს, სერგეი ივანოვიჩ. მე ცოლის გამო პრობლემები შემექმნა.

კოზნიშევი: *(დაძაბულია)* რას გულისხმობთ?

კარენინი: თქვენს ლიტერატურულ ნიჭიერებას. ასე რამ შეგაკრთოთ?

კოზნიშევი: იცით, ჩემზე და ჩემს გარდაცვლილ ცოლზე მრავალი ჭორი შეთხზეს. ამბობენ, თითქოს ტიუმენის მოხუცთა შორეულ თავშესაფარში გავხიზნე და იქვე დავახრჩვე. ეს ხომ სისულელეა!

კარენინი: *(ნაძალადევი ღიმილით)* რა თქმა უნდა, სისულელეა. ავი ენები რა სახსენებელია. აი, ამას წინათ თქვენი ახალი წიგნი "ევროპაში და რუსეთში სახელმწიფოებრიობის საფუძველთა და ფორმათა განხილვის ცდა" მომიტანეს. საჭირო წიგნია. ჩვენს ახალგაზრდა ჩინოვნიკებს ამ წიგნს მაგიდაზე სათითაოდ დავუწყობდი.

კოზნიშევი: პრესაში ამ წიგნის გამო სიტყვაც არ დაცდენიათ!

კარენინი: განა არ იცით, რომ ადამიანებს სხვისი წარმატება არ უყვართ? ოთხთვალა ეტლიდან რომ ჩამოვარდნილიყავით და კისერი წაგემტვრიათ, ახალი ამბების საგაზეთო სვეტში ორიოდ სიტყვას შეგაწევდნენ. გულს ნუ გაიტეხავთ!

კოზნიშევი: მადლობელი ვარ მცირე რეცენზიისთვის, მაგრამ ალექსეი ალექსანდროვიჩ, თქვენთან თქვენივე თხოვნით მოვედი...

კარენინი: ჰო! მე, ასე თქვათ, ლიტერატურას მივყავი ხელი. უკვე საპენსიოდ ვარ გამზადებული... ოღონდ ეგ არის: გულხელდაკრეფილი არ შემეძლო ჯდომა და გადავწყვიტე, რომანი დამეწერა. თქვენ ლიტერატორი ხართ და თუ ძნელი არ იქნება, გადაავლეთ თვალი ამ ხელნაწერს...

კოზნიშევი: რას ეხება ეს თხზულება?

კარენინი: მორალს, ეს არის რომანი მორალის თემაზე. მოქმედება დღევანდელ დღეს ხდება, იტალიაში, პარმაში, ჰერცოგ ბორგეზეს ოჯახში. ის წარჩინებულია, მაგრამ მას თრგუნავს და თავგზას უბნევს ახალგაზრდა თავაშვებული ცოლი. ამ ქალს ვიღაც სამხედრო ვიგინდარა შეუყვარდება... დანარჩენს თავადვე შეიტყობთ.

კოზნიშევი: მე ხომ ლიტერატორი არა ვარ, პოლიტეკონომისტი ვარ...

კარენინი: რა მნიშვნელობა აქვს ამას. თქვენ მჭირდებით, როგორც ჭკვიანი კაცი. განა თქვენი თავი ასეთად არ მიგაჩნიათ? გამოცემული წიგნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თქვენ ნიჭი გაქვთ, ნიჭს კი, როგორც ჩვენი მეეტლე იტყვის, ლოთობით ვერ გაანიავებ. *(იცინიან)*

კოზნიშევი: მე მსიამოვნებს თქვენი ქება. და აქ ყოფნაც სიამოვნებას მგვრის, თუმცა ერთგვარ უხერხულობასაც ვგრძნობ. კეთილი, წავიკითხავ თქვენს ნაწარმოებს და რაც მექნება სათქმელი, იმას დავწერ.

კარენინი: ფრთხილად იყავით, ეს წიგნი დღევანდელ საზოგადოებას აკრიტიკებს და მასზევე მიგვანიშნებს. აქ გესლიც ბლომადაა. დიახაც, ასეა. აი, ვთქვათ, თავში, რომელსაც სათაურად აქვს "მომავალი", მოქმედება მოულოდნელად რუსეთში გადადის და მე ვწინასწარმეტყველებ, რა მკვეთრად შეიცვლება დეპარტამენტებში და საკრებულოებში უახლოეს 10 წელიწადში მუშაობა.

კოზნიშევი: მართლა? აი, ეს სიახლეა! დიდი ინტერესით გავეცნობი.

კარენინი: უაღრესად მადლიერი ვარ, სერგეი ივანოვიჩ. იცოდეთ, რომ ამ სტუმართმოყვარე სახლში მუდამ სიხარულით გელიან და არ სჯერათ იმ სისულელისა, რომელზეც ჩვენს სალონებში ლაყბობენ.

კოზნიშევი: ნება მიბოძეთ, დაგემშვიდობოთ.

კოზნიშევი მიდის.

სცენა 10. საუბარი კუპეში

მატარებლის კუპეში არიან ობლონსკი და ლევინი.

ობლონსკი: საშინელებაა. ანა ჩემი დაა. მე მიყვარს ის. და ახლა ვეკითხები ჩემს თავს - რა ბედი ეწევა მას, როგორც ქალს? ყველაფერი დაკარგულია. მე სულ სხვაგვარი მახსოვს, მხიარული და საყვარელი. ახლა კი... ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შეიძლება უფალს დასდო ბრალი.

ლევინი: ეკლესიის თვალსაზრისით ანამ საშინელი ცოდვა ჩაიდინა. მას შემოქმედისთვის სურდა იმის დაბრუნება, რითიც უფალმა გულუხვად დააჯილდოვა. ეს იყო ამქვეყნიური ცხოვრება. ანასგან ეს გამოწვევა იყო, უფალმა კი გამოწვევა უკუაგდო. ღმერთმა ხელახლა აჩუქა ანას სიცოცხლე. ეს იყო იძულებითი, მაგრამ კეთილშობილური საჩუქარი. უფალმა ანას ახალი, სხვა სიცოცხლე აჩუქა.

ობლონსკი: მე ახლა ფილოსოფიურ მატერიებზე მსჯელობის თავი არა მაქვს. ანას ტკივილს ისე განვიცდი, თითქოს მატარებელმა მე გადამიარა. გესმის თუ არა ჩემი? ბავშვობიდანვე მეშინოდა სისხლის. დაშავებული ადამიანის ხილვისას ხელ-ფეხი მებორკებოდა. ერთხელ ზამთარში რკინიგზის სადგურზე ანას უნდა შევხვედროდი. და საშინელება მოხდა. ლოკომოტივმა სადგურის დარაჯი გაიტანა. ის საცოდავი ან მთვრალი იყო, ანდა სიცივეში ისე იყო შეფუთნული, რომ მატარებლის მოახლოება ვერ გაიგო და პირდაპირ რელსებს გადაემხო. ტრაგედიის ადგილას ბრბომ მოიყარა თავი. მეც, სხვებივით უნიათო, იქვე გავჩნდი. მონუსხულივით მივიწევდი იმ ადგილისკენ, სადაც იწვა ის, რასაც რამდენიმე წუთის წინ ადამიანი ერქვა. როცა ეს ყოველივე საკუთარი თვალით ვიხილე, მუხლი მომეკვეთა. გულზიდვამ ამიტანა. გესმის თუ არა, რას ვამბობ? მერე და მერე ყველაფერი დამავიწყდა. ახლა კვლავ გამახსენდა.

ლევინი: რატომ გვარგუნა ბედმა ამ ქალის აღდგომა? ეტყობა, რაღაც ახალი გაკვეთილი გველის. ძველს კი დავივიწყებთ ისევე, როგორც შენ სადგურზე ნანახი იმ დარაჯის ცხედარი დაივიწყე.

ობლონსკი: ასე რატომ ლაპარაკობ? განა ვერ ხედავ, ხელები როგორ მიცახცახებს?

ლევინი: მოსკოვი! მოსკოვი უსწრაფესად გამოგაჯანსაღებს. კლუბი, შამპანური იგნატოვთან, შატო დე ფლერი, კუპლეტები. კანკანი. ეს ხომ ეფექტური თერაპიაა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ მე ათეისტი ვხდები.

ოგლონსკი: ყოველივე ეს დარვინისა და მისი წიგნების ბრალია.

ლევინი: რა შუაშია აქ დარვინი? ჰარმონიას ბზარი გაუჩნდა და ის მთელი რუსეთის სარკინიგზო გზას გასდევს.

ოგლონსკი: ამ ბოლო დროს შენ ძალიან ბევრს ფიქრობ ლოკომოტივებზე და ტელეგრაფებზე. მე დროდადრო მთრგუნავს შენი ფილოსოფია. ეს მექანიზმის ფილოსოფიაა!

ლევინი: სრულებითაც არა! მოინახულე რუსეთის ყველაზე მიყრუებული სარკინიგზო სადგურები, მოუსმინე, რას ამბობენ გლეხკაცები და ობივატელები და გაიგებ, რომ ლოკომოტივებმა არა მხოლოდ გადაადგილების სიჩქარე შეცვალეს, არამედ ცნობიერების სიჩქარეც.

ოგლონსკი: და აქედან რა გამომდინარეობს?

ლევინი: მისმინე, სტივა, ახლა დადგა დრო, ყველაზე მთავარ საკითხებს შევეხოთ. რისთვის არსებობენ ეს მემანქანეები და ცეცხლფარეშები, ნაფიცი ვექილები, სააქციზო ზედამხედველები, სამთო ინჟინრები და სხვები? რისთვისაა სკოლები და საავადმყოფოები? რატომ არსებობს ციხე და კატორღა? და რატომ სცემენ, ვთვქათ, იქ ადამიანებს? და თუ ამ შეკითხვას ძირისძირობამდე ჩაყვები, თვალწინ უფსკრული გადაგეხსნება.

ოგლონსკი: და აქედან რა გამომდინარეობს? რა შუაშია აქ მატარებლები?

ლევინი: აქედან გამომდინარეობს, რომ უახლოეს ხანებში შეიცვლება ღმერთი, ან უფრო ზუსტად, მორალი და საერთოდ მთელი გარემომცველი სამყარო.

სდუმან.

ოგლონსკი: უწინდელი ანა მოკვდა, და აღმდგარი სულ სხვანაირია. ღმერთმა კიდევ ერთი გაკვეთილი ჩაგვიტარა. უფალი მკაცრია და არა უაზრო.

ლევინი: მკვლელობები, თვითმკვლელობები, რევოლუციონერების ტერორისტული აქტები, მატარებლების მსხვრევა და გემების დაღუპვა - ყოველივე ეს ცივილიზაციად წოდებული ერთი ჯაჭვის რგოლებია. ცივილიზაცია ათასი წელი იმით იყო დაკავებული, რომ კაცთა რაოდენობას ზრდიდა. გამრავლებამ ის გამოინვია, რომ სხვების მიმართ განურჩევლობა დაგვეუფლა. სხვათა სიკვდილი ან მტანჯველი აღსასრული ჩვენთვის მხოლოდ გაზეთიდან შეტყობილი ფაქტია. უბედურება რომ დაგვატყდება, მაშინღა გვახსენდება ღმერთი. თუმცა ის აქ არაფერ შუაშია. მისი კი არა, ჩვენი გამოისობით ვარდება მატარებლები და ჩვენვე ვტოვებთ ახლობელ ადამიანებს ტრაგედიის წუთებში ბედის ანაბარად.

სცენა 11. რა ბედი ეწია ვრონსკის?

კარენინის სახლი. იგივე ოთახი, სადაც ანა კარენინა იმყოფება. ამჯერად ის ეტლში ზის. ფანჯარას უახლოვდება. ოთახში გრაფინია ლიდია ივანოვნა შემოდის.

ლიდია ივანოვნა: იქნებ არ არის საჭირო ფანჯარასთან მიახლოება?

ანა: *(იცინის)* არა, აღარ ვიზამ.

ლიდია ივანოვნა: დაგვდეთ პატივი.

ანა: ალექსეი ალექსანდროვიჩი ამჟამად რითია დაკავებული?

ლიდია ივანოვნა: თავის ოთახში მუშაობდა, რაღაცას წერდა.

ანა: რაღაცას წერდა. საინტერესოა, რას?

ოთახში კარენინი შემოდის.

კარენინი: *(ოდნავ გაღიზიანებულია)* ლიდია ივანოვნა, სად არის ჩემი ინგლისური პიჯაკი?

ლიდია ივანოვნა: მაინც რად გინდათ?

კარენინი: მსურდა ჩემთან მოსულ კაცთან ინგლისურ პიჯაკში გამოწყობილს მელაპარაკა, მაგრამ ვერ ვიპოვე და ჩეულებრივი პიჯაკის ამარა დავრჩი. ველაპარაკებოდი ამ კაცს და ჩემთვის პიჯაკზე ვფიქრობდი. ეს საფიქრალი მაღიზიანებდა.

ლიდია ივანოვნა: მოგიძებნით და კაბინეტის კარადაში დავკიდებ. სხვა დროსაც დაგჭირდებათ.

(ლიდია ივანოვნა გადის)

კარენინი: ჰო, კარგი იქნება, ჩამოკიდეთ. *(წასვლა სურს)*

ანა: ალექსეი ალექსანდროვიჩ, შენთან მოლაპარაკება მინდა. მგონი გამიგებ.

კარენინი: კეთილი და პატიოსანი. რა გნებავს?

ანა: შეიძლება ჩემმა შეკითხვამ უტაქტოდ გაიჟღეროს, მაგრამ მაინტერესებს, რა ბედი ეწია ვრონსკის?

კარენინი: *(რისხვით შესცქერის ანას)* იქნებ არ იყოს საჭირო ამ თემაზე საუბარი? *(ჩაფიქრდება)* თუმცა, იმისთანაც არაფერია, შენ გინდა შეიტყო, რა ბედი ეწია ვრონსკის? შესანიშნავია! იმ საბედისწერო დღეს მან თავისი თვალით ნახა შენი სხეული სარკინიგზო სადგურის ყაზარმაში. გონება დაებინდა. ექიმებმა დაასკვნეს, მძიმე პროსტრაცია აქვსო. თუმცა მერე მალე გამოკეთდა, წარსული ცხოვრების ზოგიერთი მომენტი სამუდამოდ გადაივიწყა და ბალკანეთში, მოქმედ არმიაში სამსახურისთვის გაეშურა. დუნაის გადასასვლელზე წინა საბრძოლო რიგებში იყო, რომ თურქების ქვემეხმტყორცნებმა შეუტიეს. ძლიერი კანტუზიის გამო სადღეისოდ ფლიგელ-ადიუტანტი, გრაფი ალექსეი კირილოვიჩ ვრონსკი სავსებით პარალიზებულია. ის ნათესავების შეკითხვებზე არ რეაგირებს და საკუთარი თავის მოკვლაც არ შეუძლია.

ანა: რა კოშმარია!!!

კარენინი: შეკითხვები გაქვთ?

ანა: იქნებ შემახვედროთ იგი?

კარენინი: *(გაღიზიანებული ილიმება)* კარგი იდეაა! შეგახვედრებთ!

სცენა 12. მოჯალაბენი

კარენინების სახლის ზღურბლზე ზის მოწყენილი მსახური. მასთან მიდის მეეტლე.

მეეტლე: როგორ ხარ, ჯაგლაგო?

მსახური: გუშინ ბატონი ალექსეი ალექსანდროვიჩი ამბობდა, რომ დედამიწისკენ კომეტა მოქრის და შესაძლოა ქვეყნიერების აღსასრული დადგეს.

მეეტლე: უყურე შენ! მაშ, ყველანი მოვკვდებით!

მსახური: შიშმა დაისადგურა. ამბობენ, მეფე ამის გამო ძალიან ნერვიულობსო.

მეეტლე: ეტყობა, ეშინია. მეფე იქით იყოს და ამ დილით რომ წამოვდექი და ფანჯარაში გავიხედე, გულზე დარდი შემომაწვა. არც კომეტებისა მეშინია და არც მეფეების. მხოლოდ ეგ არის: დილ-დილობით ჯავრი მღრღნის ხოლმე.

მსახური: რისთვის ცხოვრობ, შე შეჩვენებულო?

მეეტლე: მეცხოვრება და ვცხოვრობ.

სცენა 13. ვრონსკებთან

კარენინს ანა ეტლით სასტუმრო ოთახში შეჰყავს. მათ ალექსეის დედა, გრაფინია ვრონსკაია ელოდება.

კარენინი: აი, ჩვენც გესტუმრეთ.

გრაფინია ვრონსკაია: გამარჯობათ. ანა, გახსოვთ ჩვენი საუბარი მატარებელში, მოსკოვს რომ ვუახლოვდებოდით?

ანა: დიახ, მახსოვს.

გრაფინია ვრონსკაია: ალიოშას კი არაფერი არ ახსოვს. მას ახლა შემოიყვანენ. ნუ ღელავთ. იცით, ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, ჩვენს სახლში სტუმრობა გაიშვიათდა.

ანა: იმ დღეს რა დაემართა მას? როგორ ეჭირა თავი?

გრაფინია ვრონსკაია: როგორც კი ყველაფერი შეიტყო, სადგურში გამოიქცა და თქვენ სიკვდილის პირზე მყოფი გნახათ. შინ დაბრუნდა და გული შეუღონდა. როცა გონზე მოვიდა, მიიჩნია, რომ უკვე მკვდარი იყავით. ის ბოდავდა და ეგონა, თქვენს დაკრძალვას ესწრებოდა. ყოველ შემთხვევაში, ეს მან ღრმად ირწმუნა. მე ჩემი გამოცდილების კვალად დავეთანხმე და მისი გადარწმუნება არ მიცდია. შემდეგ ბალკანეთში მოქმედ არმიაში სამსახურისთვის გაემგზავრა და ჩვენდა სავალალოდ, დაიჭრა. ალექსეი ამჟამად უძრავია, არაფერი აღარ ახსოვს და არც ლაპარაკობს. ის, უბრალოდ, არსებობს.

ვრონსკების მსახურს ეტლში წამომჯდარი ვრონსკი შემოჰყავს.

გრაფინია ვრონსკაია: აი, ალიოშა, ჩვენთან ანა და ალექსეი ალექსანდროვიჩი მოვიდნენ.

ვრონსკი უძრავად იყურება.

ანა: გამარჯობა, ალექსეი! არ მეგონა, რომ ყველაფერი ასე წარიმართებოდა.

კარენინი: ანა, დღევანდელი მდგომარეობა წინანდელი მოქმედებების შედეგია.

ანა: როგორც ყოველთვის, ახლაც მართალი ხარ, მაგრამ საცოდავ ალიოშას არ ესმის შენი ბრძნული მსჯელობა. ის ამჟამად ჩვენთან არის და ამავე დროს სადღაც შორს იმყოფება, ალიოშა მინდვრის ყვავილივითაა.

კარენინი და გრაფინია ვრონსკაია ერთმანეთს გადახედავენ.

კარენინი: ანა, მე და გრაფინია წუთით გავალთ.

კარენინი და გრაფინია ვრონსკაია გადიან.

ანა: განა შემეძლო მეფიქრა, რომ ასეთ ვითარებაში შევხვდებოდით ერთმანეთს! ალექსეი, ალიოშენკა! შენ მეკითხები: რატომ მოვიქეცი ასე, არა? შენ ამას მეკითხები? გონება დამიბნელდა და ლოკომოტივის ქვეშ შევვარდი. ნეტავ შეიძლებოდეს ყველაფრის უკან დაბრუნება. ნეტავ შეიძლებოდეს!

ანა ეტლის ბორბლებს ხელით ატრიალებს და ალექსეის ეტლთან მიდის. ანა ვერ იკავებს გრძნობებს და გამალებით კოცნის ვრონსკის. ვრონსკი ანას გრძნობათა შემოტევისგან ეტლიდან იატაკზე ეცემა. შეშინებული ანა ჩამოცურდება თავის ეტლიდან და ცდილობს, ვრონსკი ეტლში ჩასვას. კარს მიღმა ისმის კარენინის ხმა: ანამ ბევრი იტანჯა, მაგრამ ტანჯვა ამავე დროს დაეხმარა მას. შემდეგ ისმის გრაფინია ვრონსკაიას ხმა: წავიდეთ, ვნახოთ. ანა ტირის, საბოლოოდ ძალას იკრებს და ვრონსკის ეტლში სვამს, მერე კი თვითონაც ჯდება თავის სავარძელში. შემოდიან კარენინი და გრაფინია ვრონსკაია.

კარენინი: აი, თქვენი ვიზიტიც დამთავრდა.

გრაფინია ვრონსკაია: ახ, ალექსეი ალექსანდროვიჩ, როგორ გამიხარდა თქვენი ნახვა.

კარენინი: ანაც, ცოტა არ იყოს, გახალისდა.

სცენა 14. პროტეზების მაღაზია "კარლ მიულერი"

დახლებზე და შემინულ კარადებში ადამიანების ხელების და ფეხების სხვადასხვაგვარი პროტეზები აწყვია. აქ არის თვალის ასახვევი და მრავალგვარი ცალუღელი, რომელიც ხერხემლის გადატეხვისას აუცილებელია. ამ განყოფილების მიღმა კარლ მიულერი თავის გროსბუხს ჩასცქერის. მაღაზიაში შემოდის კარენინი. ის დიდხანს და უსიტყვოდ ათვალიერებს პროტეზებს. კარლ მიულერი თავს წამოწევს, წამოდგება და მიდის კარენინთან.

მიულერი: რითი შემიძლია გემსახუროთ?

კარენინი: ბევრი რამით.

მიულერი: გასაგებია. უბედურებაა?

კარენინი: *(თავს უკრავს)* დიახ, ამას ჰქვია უბედურება.

მიულერი: პროტეზი ბატონისთვის გსურთ თუ ქალბატონისთვის?

კარენინი: ცოლისთვის.

მიულერი: აი, თურმე რა ყოფილა. ხელი თუ ფეხი?

კარენინი: ხელი და ფეხი. თვალიც.

მიულერი: გასაგებია. შვეიცარიის, გერმანიის და საფრანგეთის საუკეთესო ფირმების მრავალი ნიმუში გვაქვს. ეს შესანიშნავი ნაკეთობანია. ადამიანის ორგანოს, რა თქმა უნდა, ძნელია შევადაროთ, თუმცა ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, რომ რაღაცით ადამიანის ცოცხალ ორგანოებზე უმჯობესნიც არიან.

კარენინი: უმჯობესი?

მიულერი: რა თქმა უნდა. მათი შეცვლა ხომ შეიძლება. ასევე შეიძლება მათი მუდმივად ტარება. ყოველთვის ცალკეული დეტალები გვიზიანდება. ხან ხელს ვკარგავთ და ხან ფეხს. და მხოლოდ ამგვარი შემთხვევების გამოისობით ხედება ადამიანი თავის იოლად მოწყლადობას და სიმყიფეს. ევროპაში ამის თაობაზე უფრო ადრე დაფიქრდნენ, ვიდრე რუსეთში და მრავალი შესანიშნავი მანიპულიატორი შექმნეს. ყველა ორგანოს შეიძლება გააჩნდეს რკინის ან ხის ანალოგი. ჩვენი ნაწარმი კი უმთავრესად ფოლადისაა. ეს ნაწარმი მჩატეა და საიმედო, და უპირატესად შეძლებული ადამიანებისთვის არის გაანგარიშებული. აქ არ შეიძლება იყოს რაიმე ყალბისმქმნელობა, ვერ ნახავთ, ვთქვათ, ხის ჯოხს ტყავის შემონაჭერით. კი, ჩვენთან სიძვირეა, მაგრამ არცთუ უსაფუძვლო.

კარენინი: ბედისწერამ სამწუხარო გამოცდა მომიწყო. ცოლმა ჯერ მიმატოვა, მერე კი საყვარლის გამო მატარებელს ჩაუვარდა. ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენი ქორწინება არ დარღვეულა და მე, როგორც ქრისტიანმა ადამიანმა, მივუტევე მას და ჩემს სახლში დავაბრუნე, რასაც ოდნავადაც არ ვნანობ.

მიულერი: არაფრის თქმა არ არის საჭირო. აქ ფიზიკური და ზნეობრივი ტრავმის მქონე მრავალი ადამიანი იყრის თავს. მათ სატანჯველს მუდამ მთელი გულით ვიზიარებ. ამიტომაც ვარ პროტეზებით დაკავებული. მაშ, თქვენ ამბობთ, რომ გჭირდებათ ფეხი. აი, ვთქვათ, ფეხის პროტეზი "შოტი და კო". ძალზე მოხდენილი რამაა, არა? მე პირადად მხიბლავს ეს ნაკეთობა! ბედისწერა წინასწარგანუჭვრეტელია. ხელისთვის ეს ქალის პროტეზი აიღეთ. ის ფრანგულია. ბუმბულივით მჩატეა. ამ დახლზე კი თვალები აწყვია. ამოირჩიეთ. თვალები სრულიად სხვადასხვანაირი გვაქვს. ძვირფასი თვლებით მოოჭვილი თვალებიც გვაქვს.

კარენინი: ეს მითხარით, ტვინის პროტეზი თუ არის თქვენს მაღაზიაში?

მიულერი: *(იღიმება)* ჯერჯერობით არა, მაგრამ ეს დროის ამბავია. ზოგიერთისთვის ამგვარი პროტეზი მართლაც ხსნა იქნებოდა. ჩემი აზრით, ათი წლის შემდეგ თუ შემოიხედავთ ამ მაღაზიაში, მსგავს რაღაცას შემოგთავაზებთ.

კარენინი: ბატონო მიულერ, აი, ჩემი სავიზიტო ბარათი. მე თქვენ ამ ოთხშაბათს დაგელოდებით. კარგი იქნება, თუ იმ ნაკეთობებსაც წამოიძღვანიებთ, რომლებიც ეს-ესაა წარმომიდგინეთ. მთავარია, ჩემს ცოლს მოერგოს ყოველივე ეს.

სცენა 15. განაჩენი

კოზნიშევის ბინა. სასტუმრო ოთახში კოზნიშევი და მასთან წვეული ტუშკევიჩი და პშენიცინი სხედან.

კოზნიშევი: ბატონებო, მომიტევეთ, მაგრამ ჩემი აზრით, კარტი, ბილიარდი და ქალები ყოველთვის არ წარმოადგენენ მამაკაცთა ცხოვრების საფუძველთა საფუძველს. ამიტომ დღეს ჩვენ ლიტერატურულ საღამოს ჩავატარებთ.

ტუშკევიჩი: შესანიშნავია და დროულიც.

პშენიცინი: ლიტერატურა რუსეთში საზოგადოებრივი აზრის როლს ასრულებს. ამ აზრს თვით მეფე უწევს ანგარიშს.

კოზნიშევი: ეს იმ სტატიიდანაა, დილით რომ წაიკითხეთ?

პშენიცინი: სრულიადაც არა, უბრალოდ, ზოგიერთი ჩემი აზრი სამთავრობო პრესის თვალსაზრისს ემთხვევა.

კოზნიშევი: ჩემი აზრით, რასაც დღეს წაგიკითხავთ, შეუდარებელია. ეს არის ნაწყვეტი ალექსეი ალექსანდროვიჩ კარენინის რომანიდან "კლავდია ბორგეზე", მან თავისი ნაწარმოები სარეცენზიოდ გადმომცა, მე კი გადავწყვიტე, ახალი ლიტერატურული გენიოსის ჩამოყალიბების პროცესს მეზიარებინეთ.

ტუშკევიჩი: დარწმუნებული ვარ, თქვენს ხელთ შედევრია.

კოზნიშევი: აბა, მომისმინეთ: "კლავდიამ დაუდევრად და ურცხვად გაიღელა პერანგის გულისპირი და იქიდან გამოჩნდა ორი მორცხვი, ვნებით დატენილი ძუძუსთავი. მან ორივე ხელში ჩაბღუჯა ძუძუსთავები და მოჰყვა მათ სრესას.

- აჰ, რას შვრები? - წარმოთქვა მიბნედილმა მეძავმა, თან უფრო და უფრო ენთებოდა. მე შენ აღარ დაგელოდები და თვითონ გავაღვივებ ვნებას.

- შენი ქმარი როგორღა იქნება? - წამოიყვირა კავალერისტმა. - რას იტყვის, როცა შეიტყობს იმას, რასაც აქ ჩავდივართ? არა მგონია, მადლობა გითხრას. - ამის თქმა იყო და ლეიტენანტმა გვიდომ ჩაიცინა. მისი ჯანსაღი, ახალგაზრდული სიცილი რაღაც ეშმაკისეულს ასხივებდა, აქვე იგრძნობოდა რაღაც არაჯანსაღი მუხტი, რამაც უკანასკნელ ხანს გაფუჭებულ ახალგაზრდებს შორის მოიკიდა ფეხი.

- მოდი, მოდი, ჩემთან საყვარელო, სიამოვნება მომანიჭე - განაგრძობდა კლავდია, მაგრამ აქ ლეიტენანტმაც ველარ შეიკავა თავი და წამოიყვირა: - გრცხვენოდეთ, ჰერცოგინია, რა მაგალითს აძლევთ მომავალ თაობას? გაივლის ორმოცი, ორმოცდაათი წელი და თქვენ სინანულით გაიხსენებთ ამ დღეს!

ტუშკევიჩი: ბოდიშს ვიხდი, სერგეი ივანოვიჩ, მაგრამ, ჩემი აზრით, ალექსეი ალექსანდროვიჩ კარენინი იმათთაგანია, ვისაც რქები დაადგეს.

კოზნიშევი: ასე ფიქრობთ?

ტუშკევიჩი: ეჭვი არ მეპარება.

სცენა 16. ვნებათა შესახებ

მატარებლის კუპე. კუპეში ლევინია და ობლონსკი.

ლევინი: ფანჯრებს მიღმა რამდენი ქალაქია და დაბა. რამდენი უბადრუკი სახლია. და თითოეულ ფანჯარაში კაცთა იღბალი იხლართება.

ობლონსკი: და მაინც, კონსტანტინ დმიტრიევიჩ, თქვი, რას ფიქრობ ვნების თაობაზე?

ლევინი: ჩემი აზრით, ვნება ყოველი დრამის მთავარი მონაწილეა. ხელოვნებას ვნება წარმოშობს. თუმცა, ცხოვრებაში ვნება შემაფერხებელია. აქ ის თითქმის ყველაფერში გვაფერხებს.

ობლონსკი: ხომ არ გეჩვენება, რომ ვნება მშვენიერი ღვინის უფაქიზეს გემოს წააგავს? ვნების გარეშე მე ერ გავძლებდი.

ლევინი: ცოლი გიყვარს?

ობლონსკი: ალბათ, არცთუ ძალიან. დოლი სათნოა და კდემამოსილი. მაგრამ შენ რასაც სიყვარულად იხსენიებ, ის უკვე დამთავრდა. მის მიმართ ლტოლვა არ გამაჩნია. და, მგონი, დოლი ხვდება კიდეც ამას. თუმცა, სხვა მხრივ ჩვენს ქორწინებას შეიძლება ბედნიერი ეწოდოს.

ლევინი: საინტერესო დასკვნაა!

ობლონსკი: დოლი ცოდვებს მპატიობს, მე კი ვაფასებ ამას. ის ჩემზე ძლიერია, მე კი სუსტი ვარ. ჩემთვის ვნებაა მთავარი, მისთვის კი შთამომავლობაზე და ოჯახზე ზრუნვა. ჩემი ცოდვა მთლად საშინელი არ უნდა იყოს იმ საზოგადოებაში, სადაც უბინო ადიულტერი პრომისკუიტეტმა შეცვალა. რატომ დუმხარ?

ლევინი: მე მინდა შენი სულის გამოცანა გამოვიცნო. საინტერესოა, როცა მივალთ, შენ ვისთან წახვალ?

ობლონსკი: ცოლთან წასვლას არ ვაპირებ. მე წავალ დიდი თეატრის ერთ ჩვეულებრივ მსახიობ ქალთან.

სცენა 17. კარენინების სახლი

სასტუმრო ოთახში ანას ეტლი დგას. ოთახში არის კარლ მიულერი. მან საგანგებო სამედიცინო მაგიდაზე ფუტლიარები განალაგა. მიულერი იღებს ამ პროტეზებს და სათითაოდ აჩვენებს კარენინს, ლიდია ივანოვნას და ანას.

მიულერი: ქალბატონი კარენინა კმაყოფილი დარჩება ადამიანის ამ ქმნილებებით. ისინი კრუპის ქარხანაში გაკეთდა და უჟანგავი ფოლადისგან არის დამზადებული. მსგავსი ფოლადისგან ამზადებენ ცნობილ დანებს ქალაქ ზოლინგერში. მე ეს დანებიც მოვიტანე, რათა დარწმუნდეთ, რომ არ გატყუებთ.

მიულერი მიწვდება დანების ყუთს და ხსნის. შემდეგ სხვა ყუთიდან ფეხის პროტეზსაც იღებს.

ლიდია ივანოვნა: რა სასწაულია! მართლაც ძვირფასი რამ არის!

მიულერი: აბსოლუტურ სიმართლეს ღაღადებთ! აი, ნახეთ რა პლასტიკურია და როგორ იღუნება ეს ქმნილება. სპეციალური სახსარი, საკისრები, უნიკალური ჰიდრავლიკა - ყოველივე ეს ლეონარდ ვინის სახელოსნოშია დამზადებული. მაშ ასე, ქალბატონო კარენინა, მცირეოდენი წუთებიღა დარჩა მანამდე, ვიდრე თქვენ წარმოგვიდგებით ახალი, მეცნიერულ-მექანიკური მშვენიერებებით.

ანა: ნუთუ ეს მართლა მოხდება?

მიულერი: აუცილებლად მოხდება! *(მიულერი მიდის ანასთან. ის არგებს პროტეზს ქალის ფეხს, შემდეგ უბრუნდება ყუთს და იქიდან მექანიკურ ხელს იღებს)* აი, ბატონებო, ხელი. და აქაც შესამჩნევია კიდევ უფრო დიდი პროგრესი, ვიდრე ფეხის შემთხვევაში. და არც არის გასაკვირი. ეს მანიპულიატორი ხელიც არის და იმავდროულად კაუჭიც, რომელზეც ქალის ჩანთა შეიძლება ჩამოიკიდოს. *(მიულერი კვლავ უახლოვდება ანას და მოკვეთილი ხელის ადგილზე პროტეზს არგებს. შემდეგ კაუჭზე ქალის ჩანთას ჰკიდებს)* აი, ასე, ძალიან კარგი. მჭიდროდ არის მორგებული. დაბოლოს თვალი. *(ის იღებს სპეციალური ჩანთიდან ყულაბის მსგავს ნივთს, ხსნის სახურავს და იქიდან ხელოვნური თვალი უვარდება ხელისგულზე. მიულერი თითოეულ დამსწრეთაგანს აჩვენებს მას).* ეს თვალია. ნაღდი ძვირფასეულობა. ახლა ბოლო ძალები უნდა მოვიკრიბოთ. *(მიულერი მიდის ანასთან, იხრება მის თავთან და ანას თვალს უსვამს. ანა წამოიყვირებს)* ეს არის და ეს. ნერვიულობა საჭირო არ არის. მორჩა. ახლა მთავარი სასწაულია, ანუ წამოდგომა. ანა, თქვენ შეგიძლიათ წამოდგეთ.

ანა: მე მეშინია. ეს ჩემთვის უჩვეულოა. მეშინია.

მიულერი: ნურაფრის ნუ გეშინიათ. წამოდექით.

ანა: არა!

მიულერი: გიბრძანებთ!

ანა წამოდგება და ერთ ნაბიჯს გადადგამს. კარენინი და ლიდია ივანოვნა ტაშს უკრავენ. ის მაშინვე ჯდება სავარძელში.

მიულერი: პირველი ნაბიჯი გადადგმულია. ამ ნაბიჯს მომდევნოებიც მოჰყვება. ყოველგვარი სიმძიმე, ქალბატონო კარენინა, უკვე დაძლეულია. სიარულში და საგნების ზიდვაში უნდა ივარჯიშოთ. ალბათ მალე მეჯლისზეც წახვალთ და მსუბუქად წაიცეკვებთ კიდეც. თქვენ ნამდვილი სრულქმნილება იქნებით.

კარენინი: ბატონო მიულერ! თქვენი საქმის ღმერთი ხართ!

მიულერი: არა, მე მხოლოდ უფლის ჩრდილი ვარ, ტანჯვათა შემსუბუქებისთვის მოწოდებული.

სცენა 18. დიდი თეატრის კულისები

კულისებში ახალგაზრდა მოცეკვავე მაშა ჩიბისოვა ფეხის გაჭიმვას ცდილობს. მას უკნიდან ობლონსკი ეპარება, ეხვევა და კოცნის.

ОБЛОНСКИ: აჰ, რამდენ ხანს ვიყავი შენგან შორს, ჩემო ფაქიზო მეგობარო!

МАША: გამარჯობა საყვარელო, ძალიან მომენატრე. შენს საჩუქრებს ველი!

ОБЛОНСКИ: როცა გხედავ, ვერხვის ფოთოლივით ვთრთივარ! შენი ხელები, ფეხები, თვალები! სხვა ადამიანად გარდავისახები ხოლმე!

МАША: მეც მინდიხარ, მაგრამ ახლა აქ რეპეტიცია დაიწყება. შეიძლება შეგვამჩნიონ. სიფრთხილეა საჭირო.

ОБЛОНСКИ: ჯანდაბას მაგათი თავი, შეგვამჩნიონ!

МАША: ცოლიანი კაცი ხარ და შეიძლება იჭორაონ.

ОБЛОНСКИ: რა სისულელეა! რამდენიც უნდათ, იმდენი იჭორაონ. სიცოცხლის გრძნობას მიბრუნებ. შენს ფეხებს რომ შევეხები, ყველაფერი მავიწყდება. იქნებ ამ საღამოს შევხვდეთ ერთმანეთს, თავი შევიქციოთ, დავლიოთ და ვისიყვარულოთ. არც ერთი წამი არ უნდა გაგვისხლტეს ხელიდან, ვიდრე ცოცხლები და ჯანმრთელები ვართ.

მოულოდნელად კულისებში მრისხანე არწივის სამოსელში გამოწყობილი ბალერონი შემორბის. ეს არის პერსონაჟი "გედების ტბიდან". არწივი გამოსტაცებს ობლონსკის მაშას და ხელში ატაცებული, გამომსახველად გაჰყავს ის სცენიდან.

სცენა 19. ვედრება

კანკელი კარენინების სახლში. კანკელთან კარენინი.

КАРЕНИНИ: უფალო, ერთი და იგივე აზრი გამუდმებით მიბურღავს ტვინს. მტანჯავს ის, რომ წმინდანი არა ვარ. ჩემი სისპეტაკე ჩალადაც არ ღირს. ეს აშკარაა. რა უნდა ვქნა, რომ არ ვიტანჯო? ეს აზრი დღე და ღამე არ მაძლევს მოსვენებას. მე წმინდანი არა ვარ, რა ხდება? რა მემართება, ვერ ვხვდები. მინდა გკითხო, რა უნდა ვქნა, რომ ამქვეყნად სრულქმნილებას მივაღწიო?

წყვდიადში, კარენინის ზურგსუკან ლიდია ივანოვნა გამოჩნდება. მისი ნაბიჯების ჩქამზე კარენინი შეჩქვიფდება.

ЛИДИЯ ИВАНОВНА: ალექსეი ალექსანდროვიჩ, ნუ ისჯით ასე მწარედ თავს. თუ ვინმეა, თქვენ ხართ წმინდანი. თქვენ ფიქრობთ, რომ ანამ თქვენგან გაღებული მსხვერპლი ვერ შეაფასა და ვერ მიხვდა, რომ მისთვის ირჯებოდით? ჩემი აზრით, ანა თავის საქციელს მოინანიებს. ეს დღეც დადგება.

კარენინი ტირის. ლიდია ივანოვნა ანუგეშებს, მხარზე ხელს უსვამს.

სცენა 20. გაზეთები

კარენინის სახლი. მეეტლე და მსახური.

МСАХУРИ: ბატონს გაზეთები მოუტანეს. სხვადასხვა გაზეთია.

МЕЕТЛЕ: რას წერენ ახლა გაზეთებში?

МСАХУРИ: ყველაფერზე წერენ: ხანძრებზე, პურის ფასზე, აბებზე, იმაზე, თუ სად რა ომია გაჩაღებული. ბატონი წაიკითხავს და გონება გაუნათდება.

МЕЕТЛЕ: გლეხკაცებზე თუ წერენ რამეს?

МСАХУРИ: ხანდახან წერენ. აი, ვთქვათ, კურსკის გუბერნიაში კაზაკთა პოლკმა მთელი სოფელი გაროზგა.

МЕЕТЛЕ: რის გამო მოხვდათ ასე გვარიანად?

МСАХУРИ: აბუნტებულან. ჰოდა, მიიღეს კიდეც.

მეეტლე და მსახური იცინიან.

სცენა 21. გართობა

კარენინების სახლი. სავარძლებში კარენინი და ანა სხედან. გაზეთებს კითხულობენ.

КАРЕНИНИ: "უწყებანი" გვატყობინებს, რომ დედაქალაქში ჩინიზელის ცირკი ჩამოვიდა. "ამჯერად თქვენ იხილავთ ეგვიპტელ ბელ მოჰამედს, მისი ზედმეტი სახელია "ცეცხლოვანი ადამიანი". ის ყლაპავს დაშნას და ცეცხლს. ამავე დროს შეუძლია ოქროს თევზებით სავსე აკვარიუმი გადაყლაპოს. მრავალ საინტერესო სანახაობას სთავაზობენ მაყურებელს ამერიკელი ტრანსფორმატორები ადოლფი და ელვინა ბროკასი და მუცლით მეზღაპრე სტაუერი. მაგრამ ამ სეზონის ყველაზე სენსაციური ფიგურა, რა თქმა უნდა, მადამ ფოსტინია - წვეროსანი ქალი. ის მარჯვედ იპარავს წვერს და ასეთივე სიმარჯვით კრეჭს ბალის ბუჩქნარს. (ანას მიმართავს) იქნებ მართლა ვეწვიოთ ცირკს. ამბობენ, ამ ქალზე ხალხი ჭკუას კარგავსო.

ანა: მგონი, ეს საჩვენო სანახაობა არ არის.

КАРЕНИНИ: რატომ? ჩვენც ადამიანები ვართ.

ანა: შეიძლება შენ მართალიც კი ხარ, ჩვენც ხომ უნდა გავერთოთ რაიმეთი.

პირველი მოქმედების დასასრული

მეორე მოქმედება

სცენა 1. წვეროსანი ქალი

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲐᲜᲡᲘᲔ: ბატონებო, ახლა თქვენ ბუნების უჩვეულო სასწაულს იხილავთ! ეს არის საფრანგეთის მოქალაქე ქალბატონი ფოსტინი! სახელგანთქმული წვეროსანი ქალი! ის მღერის თავის სიმღერებს.

გაისმის როიალის ხმა. არენაზეა ქალბატონი ფოსტინი. ის მარაოთი იფარავს სახეს. არენის შუაგულს რომ მიაღწევს, მარაოს გასწევს და წვეროსანი სახე მოუჩანს. ეს ქალი რომელიღაც რუს გლეხკაცს ჩამოჰგავს. ქალბატონი ფოსტინი ლამაზად მოძრაობს და კუპლეტებს აყღერებს:

მე რუსეთში ჩამოვედი
და ვუტარებ გაკვეთილს
ყველა ტურფას, ვინც ოდითგან
კდემითაა ნაქები.

მამა მყავდა არყის მხდელი
დაბადებით პარიზელს,
ძილში "ბენ სიურს" გაჰყვიროდა
ხან ასე და ხან ისე!

მამას ვგავარ, ცქვიტი იყო,
და ქალებიც, რას იზამ,
წამითაც არ ასვენებდნენ
მისი ნაღდი ასლი ვარ! *(იღებს მამამისის სურათს და ყველას აჩვენებს)*

მამა მართლა ცქვიტი იყო,
დედა არცთუ ჯანსაღი,
მამამ ბოსელში შეისწრო,
და შეიხსნა ხვანჯარი...

დადგა ჟამი სტუმრად წვევის
გადიხადეს ქორწილი,
დაიბადა ბავშვი წვერით,
ასე წვერგამოწვდილი.

და ახლა მე ცნობილი ვარ
მოვიარე ქვეყანა
ყველამ თაიგული მტყორცნა
ვინც კი გადამეყარა. *(მაყურებლები თაიგულს ესვრიან)*

და სიმღერით დაგარიგებ

ამ უღელში შებმული:
სულ სხვა არის, მაინც როცა
ხარ შენ წვერმოშვებული.

ᲙᲐᲠᲔᲜᲘᲜᲘ: ღმერთო ჩემო, ესეც ხომ ქალია, ისეთივე, როგორც შენ ხარ, ანა. ოღონდ მართლა წვერიანია და წვერი აქვს მოშვებული.

ᲐᲜᲐ: ალბათ წვერიანი ქალები მალე მომრავლდებიან.

ᲙᲐᲠᲔᲜᲘᲜᲘ: ასე ფიქრობ? თქვენ საბოლოო პრივილეგიასაც მოიპოვებთ - წვერით სიარულის პრივილეგიას.

ᲐᲜᲐ: წარმოგიდგენივარ წვერმოშვებული?

ᲙᲐᲠᲔᲜᲘᲜᲘ: მართალი გითხრა, არა.

ᲐᲜᲐ: ადრე ხომ ვერც იმას წარმოიდგენდი, რომ მე ხელ-ფეხი და თვალი აღარ მექნებოდა.

კარენინი მკაცრი სახით შეჰყურებს ანას.

სცენა 2. კიდევ ერთი სიცრუე

ობლონსკების სახლი. სტივა შედის სასტუმრო ოთახში, სადაც მას დოლი ელოდება

ᲓᲝᲚᲘ: სტეპან არკადიევიჩ, ამდენ ხანს სად იყავით?

ᲝᲑᲚᲝᲜᲡᲙᲘ: ჩვენი მატარებელი ბელოგოსთან გაეჩხირა. ორთქლის ქვაბები გამოვიდა წყობიდან. მოწყენილები და გულხელდაკრეფილები ვისხედით.

ᲓᲝᲚᲘ: ანა ინახულე?

ᲝᲑᲚᲝᲜᲡᲙᲘ: საზარელი სურათია. დამთრგუნველი შთაბეჭდილება დატოვა. სულ სხვა ადამიანია.

ᲓᲝᲚᲘ: თავდაპირველად მეც შენთან ერთად წამოსვლას ვაპირებდი. მერე კი გადავიფიქრე. ნერვები აღარ მივარგა და ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა. ჩემს თავს ჩავუთქვი, რომ ბავშვებთან უნდა დავრჩენილიყავი.

ᲝᲑᲚᲝᲜᲡᲙᲘ: შენ სწორად მოიქეცი, ძვირფასო, რასაც ამბობ, ყველაფერი სწორია და რაციონალური. *(სტივა კოცნის დოლის)* შენი ნამოსვლა არ იყო აუცილებელი.

ᲓᲝᲚᲘ: *(ეჭვიანად)* შენ რაღაცის სუნი გაქვს.

ᲝᲑᲚᲝᲜᲡᲙᲘ: ჰო? ალბათ ეს შატო დე ფლერია - შესანიშნავი სასმელი.

ᲓᲝᲚᲘ: ჩემი აზრით, ეს ქალის სუნამოს სუნია.

ᲝᲑᲚᲝᲜᲡᲙᲘ: ისევ თავიდან იწყებ. აკი შემოგფიცე, რომ ჩემს ცხოვრებაში მსგავსი რამ აღარ მოხდება-მეთქი. მე ჩემს სიტყვას ვასრულებ. თუ გინდა ჯვარზე დავიფიცებ. გინდა? იქნებ მუხლი მოვიყარო? მინდა გჯეროდეს ჩემი. მე ხომ მხოლოდ და მხოლოდ შენ მიყვარხარ. შენ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ქალი ხარ! ჩემი შვილების დედა ხარ. ვიღაცა თხზავს ჭორებს. არადა, სასიყვარულო ისტორიებისთვის უკვე მოხუცი ვარ. ისევ ფრანგ გუვერნანტ ქალთან ურთიერთობას თუ გაიხსენებ, დამიჯერე, რომ ეს მან შემაცდინა. კიდევ ერთხელ გეფიცები!

ДОЛЛИ: ანამ რა გითხრა?

ОБЛОНСКИ: მას ამნეზია ჰქონდა. მერე კი გვიცნო მეც და კონსტანტინ ლევინიც. ლევინი იმ წუთებში ჩემთვის მტკიცე საყრდენი აღმოჩნდა. მე ისტერიკა დამემართა. ანა ამბობდა, რომ ვახსოვართ და გვიცნო და ეს, რა თქმა უნდა, გვიხაროდა. ლევინი რატომღაც აღელდა, ანას რომ ესაუბრებოდა.

ДОЛЛИ: ჩემო ძვირფასო სტივა, შენ არამზადა ხარ! ბინძური არამზადა, პირფერი, მატყუარა. დანტე შენ ჯოჯოხეთის იმ მეცხრე გარსში მოგათავსებდა, სადაც კაენია ჩამწყვდეული. მაგრამ ყველა ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, მე შენ მიყვარხარ და ეს ჩემი უბედურებაა, ჩემი ჯვარია, რომელიც უნდა ვზიდო.

ОБЛОНСКИ: შენ ისევ თავიდან იწყებ! მე არაფერში არ მიმიძღვის ბრალი, არაფერში...

სცენა 3. საუბარი ანასთან

ანა დგას რუკასთან, რომელზეც ციმბირია გამოსახული. რუკა კარენინების სახლის კედელზეა ჩამოკიდული. გამოჩნდება კარენინი.

ანა: დიდი ხანია მინდოდა მეკითხა, რატომ გვაქვს ეს რუკა კედელზე ჩამოკიდული.

КАРЕНИНИ: აქ აღნიშნულია ჩვენი მომავალი სარკინიგზო ხაზების ბოლო პუნქტები. ისინი წყნარ ოკეანემდეა მისული.

ანა: შენ დიდი მასშტაბებით აზროვნებ.

КАРЕНИНИ: ასე უნდა იაზროვნოს სახელმწიფო ჩინოვნიმა.

ანა: მითხარი, ის თუ იცი, ყოველწლიურად რამდენი ადამიანი იღუპება რკინიგზაზე?

КАРЕНИНИ: სამი ათას ადამიანზე არანაკლები. ეს ციფრი, როგორც ხედავ, მრავალმილიონიანი იმპერიისთვის უმნიშვნელოა.

ანა: გზები, რა თქმა უნდა, გაიზრდება.

КАРЕНИНИ: ბუნებრივია.

ანა: მაშასადამე, მსხვერპლიც გაიზრდება.

КАРЕНИНИ: ლოგიკურია.

ანა: და რა უნდა ვქნათ?

КАРЕНИНИ: არაფერი.

ანა: როგორ თუ არაფერი?

КАРЕНИНИ: მოძრაობის უსაფრთხოება უნდა გაძლიერდეს. მაგრამ არ არსებობს ძალა, რომელიც ლოკომოტივებს გააჩერებს. ან კი როგორ წარმოგიდგენია ეს?

ანა: ადამიანები რომ იღუპებიან?

КАРЕНИНИ: ეს ბუნებრივია. სიკვდილი ბუნებრივია. თუ არ დავაგებთ სარკინიგზო ხაზებს, კატასტროფების და ავადმყოფობის დროს ადამიანები სამედიცინო დახმარებას ვერ მიიღებენ. მათ ექნებათ მუდმივი პრობლემები სამუშაოსთან დაკავშირებით. სარკინიგზო ხაზების გაყვანისას მრავალი ადამიანია დასაქმებული. ასე რომ, ესეც დასაფიქრებელია. ტექნიკა მსხვერპლის გარეშე არ არსებობს. ვინ იცის, რამდენი ადამიანი ჩამოვარდა ცხენიდან და მოკვდა. ჩვენ ხომ მათ სიკვდილის გამომწვევ იარაღად არასდროს არ მივიჩნევთ.

სცენა 4. ყმათა არაკები

სცენაზე არიან მეეტლე და მსახური

მსახური: ასეა, ცხოვრობ, ცხოვრობ, მერე კი უეცრად ბრახ, და სულს განუტევებ. ისე მოკვდები, რომ ვერაფერს სასიკეთოს ამ ცხოვრებაში ვერ ნახავ.

მეეტლე: რა უნდა იყოს ამ ცხოვრებაში? რა არის აქ? რა ყრია აქ? ზოგჯერ გზას დაადგები და მიდიხარ, მიჰყვები ამ გზას, რომელსაც მგლის ნაფეხურები ატყვია. და ასეა: ან მოწყენილობა გიჭამს გულს, ან მგლები გძიძგნიან.

მსახური: შეიძლება ასეცაა. მე სულ ბატონთან ერთად ვარ. ვიცი, ვინ მიდის მასთან, ვინ უყვარს მას და ვინ არა. მაგრამ მაინც უსიხარულო ცხოვრება მაქვს.

მეეტლე: მოიშორე ეგ ფიქრი. ეგ ფუჭი ფიქრია. შენ, ეტყობა, რაღაც ბატონის ავადმყოფობა გეწყება. ამ ავადმყოფობას უსაქმობა იწვევს, უქმად ჯდომის ბრალია ყველაფერი.

სცენა 5. რეცენზია

კარენინის კაბინეტი. კარენინის პირდაპირ კოზნიშევი ზის. ის მაგიდაზე კარენინის რომანის "კლავდია ბორგეზეს" ხელნაწერს დებს.

КАРЕНИНИ: აბა, რას იტყვით? იცოდეთ, მკაცრი შეფასების არ მეშინია!

КОЗНИШЕВ: მე ვფიქრობ, ეს... მართლაც ის არის.

КАРЕНИНИ: ვერ მიგიხვდით.

КОЗНИШЕВ: ალექსეი ალექსანდროვიჩ, თქვენ დასრულებული მწერალი ხართ. თუმცა, ეს თქვენი პირველი ნაწარმოებია.

КАРЕНИНИ: მადლობთ!

КОЗНИШЕВ: მშვენიერი ენა გაქვთ, ინტრიგაც ეგზოტიკური. და მთავარი ის გახლავთ, რომ ნაღდი, სამხრეთული ვნებებია. სად ნახეთ, სად დააკვირდით ასე იტალიელთა ხასიათებს?

КАРЕНИНИ: კაპრიზე ვისვენებდი. ათი წლის წინანდელ ამბავს გეუბნებით. მას აქეთ, ეტყობა, იტალიელები არ გამოცვლილან. ქალზე რას იტყვით, მთავარ პერსონაჟზე?

КОЗНИШЕВ: ის ნამდვილი თათუნაა! განსაკუთრებით ბოლო სცენაში. აკი ბოლოს დატრიალდება მთელი ტრაგედია.

კარენინი: ამ სცენამ უამრავი სასიცოცხლო ძალა წამართვა. ღამე ვწერდი.

კოზნიშევი: ვკითხულობდი და ვეღარ მოვწყდი. უაღრესად შთამბეჭდავია ის მომენტი, როცა გერმანიაში ექსკურსიის დროს, კრუპის ქარხნების მონახულებისას კლავდია ბორგეზე ორთქლის ეროს ქვეშ ვარდება. ბრავო! ბრავო გენიოსს!

კარენინი: მე რა გენიოსი ვარ. მე უბრალოდ ქაღალდზე ის გადმოვღვარე, რაც დამიგროვდა. მაშ, თქვენ შეაფასეთ ჩემი შრომა. ძალიან ვღელავდი, რადგან ვიცოდი, რა დახვეწილი ანალიტიკოსიც ხართ. ასეთი ქების შემდეგ კი შევეცდები, ჩემი წიგნი გამოვცე.

კოზნიშევი: მადლობას გწირავთ ასეთ მაღალმხატვრულ ლიტერატურასთან ზიარების გამო. თქვენ იშვიათი სიწრფელით და წესიერებით გამორჩეული ადამიანი ხართ.

კოზნიშევი: იგივე აზრის ვარ მეც თქვენს შესახებ.

სცენა 6. ჭორი №2

სცენაზე ორი ბატონი და ორი ქალბატონია.

I ბატონი: ჩვენი საზოგადოება ისეთივე ნაკლოვანია, როგორც ევროპული საზოგადოება.

II ბატონი: ერთი რამ გვასხვავებს მათგან: რუსები ვართ. ეს, უნდა ითქვას, დიდი სხვაობაა. ჩვენ გაუთავებლად ვომობთ სამხრეთში და დასავლეთში და ახალ ტერიტორიებს ვიპყრობთ აღმოსავლეთში. ჩვენი გამარჯვებების მექანიზმი კარენინის მსგავს ჩინოვნიკებზეა დამყარებული.

I ბატონი: კარენინის?

II ბატონი: დიახ, სწორედ კარენინის.

I ბატონი: გული მიჩუყდება, როცა ვხედავ, როგორ უელის ის თავის დასახიჩრებულ თოჯინას.

II ბატონი: არსებობენ ძალზე ძვირი თოჯინები. მათ ვეჯვუდის ფაიფურისგან ამზადებენ.

I ბატონი: უნდა გენახათ, ეს თოჯინა კოჭლობით როგორ მოქანაობდა თავის ბეჩავ ქმართან ერთად.

II ბატონი: სასაცილოა! როგორც მთელი ეს ანეკდოტი.

I ქალბატონი: მიკვირს, რატომ არ უნდა ამ კაცს, რომ თავის ცოლი ისე დააძინოს, როგორც ბებერ კატებს აძინებენ?

II ქალბატონი: ცოლი რომ დააძინოს, თვითონაც მიიძინებს!

სცენა 7. ლევინთან

ლევინების სახლი. კიტი ხვდება ქმარს.

ლევინი: აი, მეც აქ ვარ, ჩემო მზრუნველო ცოლო.

კიტი: რა დაემართა ანას?

ლევინი: ფეხის და ხელის ამპუტაცია გაუკეთეს. დიდი ტკივილი გადაიტანა. მეცოდება.

კიტი: ვშიშობდი მის გამო. თითქოს ვიცოდი, რომ ასეთი რამ შეემთხვეოდა.

ლევინი: სხვაგვარადაც არის: კარენინები ვნებით ატანილი ადამიანები არიან. ისინი ჩვენგან განსხვავდებიან. მე თუ რაიმე ვნება მაქვს, შრომაში და ლუკმა-პურისთვის ბრძოლაში ვხარჯავ. ისინი კი სხვანაირად ცხოვრობენ.

კიტი: ანა არ გეცოდება?

ლევინი: მეცოდება, ძალიან მეცოდება. თუმცა მას უნდა გადახდენოდა კიდეც ასეთი ამბავი. განა ეს გაუგებარია? მისი გრძნობები იმდენად ძლიერი იყო, რომ დამლუპველი გამოდგა. ვრონსკიც დამნაშავეა. მას მეტი სიფაქიზე უნდა გამოეხატა, მაგრამ ეს არ გააკეთა.

კიტი: ეს მართლაც სარომანო ამბავია.

ლევინი: მე კი რომანზე კი არ ვფიქრობ, სასიცოცხლო საკითხების გადაჭრას ვცდილობ. მე ვფიქრობ იმის შესახებ, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა წესიერად. როგორ უნდა მივცე სამუშაო ირგვლივ მცხოვრებ გლეხებს. და როგორ უნდა ვებრძოლო მათ საშინელ ლოთობას.

კიტი: ყველა შენი მსგავსი ვერ იქნება.

ლევინი: მართალია, მაგრამ ადამიანები იდეალებით, შრომით, ხვნა-თესვით უნდა ცხოვრობდნენ. ანას კი თავისი მომავალი ბედ-ილბალი წარმოდგენილიც არ ჰქონდა. ის ერთი დღით ცხოვრობდა. მე კი... მე მომავალს ვგეგმავ.

კიტი: შენ სხვა ადამიანი ხარ - ეს მართალია.

სცენა 8. მონანიება

ანას ოთახი. ანა სცენაზეა და ქვითინებს. შემოდის კარენინი.

კარენინი: რა დაგემართა?

ანა: ახლაღა მივხვდი, რომ საზიზღრად მოვიქეცი. ადრე მეგონა, ვნებას ყოველგვარ ვითარებაში გამართლება ექნებოდა. მაგრამ ახლა კარგად ვხედავ ჩემს შეცდომებს. მე დამნაშავე ვარ შენს წინაშე.

კარენინი: ჩვენ ყველანი ხშირად ვუშვებთ შეცდომებს.

ანა: მე მხოლოდ ჩემი თავისთვის ვცხოვრობდი, შენც და ჩემი ვაუიც მსხვერპლად შეგწირეთ. ახლაღა ვხვდები - ეს ნამდვილი ეგოიზმი იყო. ამგვარი ეგოიზმი საზოგადოების მიერ გაკიცხვას იმსახურებს.

კარენინი: ჩვენ უკვე ყველაფერი გაპატიეთ. მოსახდენი მოხდა. და გარდა ამისა, შენ საშინელი ტკივილები გადაიტანე. ამ ტანჯვით და ტკივილით ყველაფერი გამოისყიდე.

ანა: ასე ფიქრობ? მე ვინანიებ ჩემს საქციელს.

კარენინი: დამშვიდდი. უკვე ყველაფერმა ჩაიარა.

ანა: მხოლოდ ერთი რამის გაგება მსურს: რატომ გამძაფრდა ჩვენი ვნებები? რატომ გავხდით ჩვენ თვითონ სასტიკნი? რატომ?

სცენა 9. დისპუტი

კოზნიშევის სახლი. ესწრებიან კოზნიშევი, ლევინი, ობლონსკი, ტუშკევიჩი, პშენიცინი.

კოზნიშევი: მოხარული ვარ, ჩემთან რომ გხედავთ. მე ვფიქრობ, ჩვენი საუბრის თემა ყველასთვის სიამოვნების მიმნიჭებელი იქნება. ამ თემას ერთი სიტყვით გადმოვცემ: ეს არის ვნება.

ლევინი: რა იგულისხმება?

კოზნიშევი: მამაკაცის და ქალის ურთიერთლტოლვა.

ობლონსკი: რაში ხედავთ აქტუალობას?

კოზნიშევი: სულ ცოტა ხნის წინ ქორწინება უმაღლეს საზოგადოებაში ფხიზელი განსჯის საფუძველზე ხდებოდა, ახლა კი მეტწილად ურთიერთლტოლვის, ვნების საფუძველზე ხდება.

პშენიციინი: ეს სწორი დაკვირვებაა, უაღრესად სწორი.

კოზნიშევი: რას ფიქრობს ამის თაობაზე ბატონი ლევინი?

ლევინი: ბატონებო, ვფიქრობ, რომ ყველაფერი ორთქლმავლების ბრალია.

ყველა იცინის.

ტუშკევიჩი: ბრავო! ეს ჭკვიანურია.

ლევინი: განა ორთქლმავლებმა უფრო იმპულსურები არ გაგვხადეს? განა მათ არ დაგვაკავშირეს მჭიდროდ ევროპასთან? მათვე გვაიძულეს, ფრთხილები და ყურადღებიანები ვყოფილიყავით რკინიგზის ლიანდაგთან სიახლოვისას.

ობლონსკი: დიახაც, ასეა.

ლევინი: მაშ, დაიჯერეთ და ირწმუნეთ ის ფაქტი, რომ მთელი ჩვენი ვნებიანობა და ურთიერთლტოლვა ორთქლმავლის ქვაბებმა გამოიწვია. ეს ქვაბები რომ არ ყოფილიყო, ყველა ქორწინება გონებით იქნებოდა ნაკარნახევი. ასე უფრო მოხერხებულია.

კოზნიშევი: ესე იგი თქვენ ხედავთ ურთიერთკავშირს? საინტერესო ვარაუდია.

ლევინი: არა, ეს ვარაუდი კი არ არის, ეჭვშეუვალი მტკიცებაა.

სცენა 10. ყმები ფილოსოფოსობენ

მსახური: შენ გაიძახი, ღმერთი მწამსო, ეკლესიაში კი არ დადიხარ.

მეეტლე: იქ სიარული რა ბედენაა, მღვდელი რაღაცას რატრატებს, რას რატრატებს - ვერ გაიგებ. ბუ-ბუ-ბუ. საკმეველი კი აუტანლად მატკივებს თავს.

მსახური: რომ მოკვდები, სულერთია, ეკლესიაში წაგიღებენ.

მეეტლე: მერე უკვე მართლა ყველაფერი სულერთი იქნება. მიმიფურთხებია!

მსახური: შენ ალბათ ჯოჯოხეთში მოხვდები.

მეეტლე: მოეშვი ამ მიეთ-მოეთს, ჯოჯოხეთიო, სამოთხეო და ა.შ. ყველა იქ მოხვდება, სადაც უნდა.

მსახური: საიდან იცი?

მეეტლე: ვიცი, ერთმა წმიდათაწმიდა ადამიანმა მითხრა, რომ უფალს ყველა უყვარს და ყველას მიუჩენს ადგილს. ასე რომ, განუტევე სული და სადაც გინდა, იქ მოხვდები.

სცენა 11. ანას ოთახი

ანა სავარძელში ზის და ლორნეტით თავის ხელის პროტეზს ათვალიერებს. მოულოდნელად ლევინი შემოდის.

ანა: კონსტანტინ დმიტრიევიჩ, ეს თქვენ ხართ?

ლევინი: დიახ.

ანა, რატომ არ შემატყობინა მოახლემ? ლიდია ივანოვნაც არ არის. საკვირველია, რატომ გადაწყვიტეთ ჩემი მონახულება? რა საქმე გაქვთ?

ლევინი: ძალზე მნიშვნელოვანი საქმე მაქვს!

ანა: *(გამომცდელოად)* რას გულისხმობთ? მე მეშინია თქვენი!

ლევინი: ჩემი შიში ნუ გექნებათ. მე ხომ... თქვენი ყურმოჭრილი ყმა ვარ!

ანა: ეს როგორ გავიგოთ?

ლევინი: ანა არკადიევნა, მე თქვენ მიყვარხართ!

ანა: ეს ახალი ამბავია! თქვენ ნამდვილად გაგიჟდით, ძვირფასო!

ლევინი: შეიძლება გავგიჟდი კიდეც! მაგრამ უკვე ვეღარ ვიკავებ თქვენდამი აღძრულ გრძნობებს!

ანა: წადით აქედან, მალე ჩემი ქმარი გამოჩნდება და რაღაც საშინელება მოხდება!

ლევინი: თქვენი ქმარი არ მოვა. აკი იცით, რომ არ მოვა. ის პარტიკულიარული ადამიანია და სამსახურს ნაადრევად მხოლოდ მაშინ დატოვებს, თუ გულის ანგინა შეეყარა, ან თუ... გარდაიცვალა.

ანა: მაგრამ იქნებ მოახლემ ან ლიდია ივანოვნამ შემოგისწროთ! ღმერთო, რა საშინელებაა!

ლევინი: არა, არ შემომისწრებენ. მე მათთან ეს საკითხი უკვე შევათანხმე.

ანა: რას ნიშნავს თქვენი ნათქვამი?

ლევინი: მე ორივე მოვისყიდე.

ანა: ლიდია ივანოვნაც? არ მჯერა. ის ხომ წმინდანია!

ლევინი: ეხ, ანა არკადიევნა, ნეტავ გენახათ, როგორ აუთრთოლდა მას ხელები, ასიანი რომ ჩავუჩურთე! ის ხომ წარმოუდგენლად ხარბი და ქვაწვიაა. ლიდია ივანოვნა ადრე ვერცხლის საპაპიროსეებს ილებდა პროცენტით. მის შესახებ ყველაფერი ვიცი, ყველაფერი! ეს საშინელი არსებაა, ნამდვილი ობობაა! მან თქვენი ქმარი მარჯვედ გააბა ქსელში. კარენინი ახლა ამ ქალის თვალით უყურებს სამყაროს. მხოლოდ მისი თვალებით... *(ლევინი მუხლს მოიყრის)* ანა არკადიევნა, მე თქვენ მიყვარხართ!

ანა: *(დაბნეულია)* ახლაღა მეუბნებით ამას? რატომ? ადრე ხომ ყველასათვის სანიმუშო კაცი იყავით. გიყვარდათ კიტი. გლეხების გამო იტანჯებოდით. გამუდმებით მსჯელობდით მორალის საკითხებზე.

ლევინი: ადრე თქვენი თავი ვრონსკიმ წამართვა. აი, ვინ არის ჩემი მტერი! გლეხებზე იმიტომ ვლაპარაკობდი, რომ თქვენი ყურადღება მიმეპყრო. მინდოდა ჩემკენ გამოგეხედათ. განა ვერ გრძნობდით ამას?

ანა: ჰო, ახლა მახსენდება თქვენი მაძიებელი მზერა. მახსენდება მეჯლისი შჩერბაცკების სახლში.

ლევინი: ოჰ, ეს სიტყვები ლახვარივით მესობა! ვრონსკისთვის ყოველთვის სიკვდილს ვნატრობდი. კანტუზია რომ დაემართა, ეკლესიაშიც კი წავედი და სანთელი დავანთე. მე მინდოდა, თქვენ მისგან გათავისუფლებულიყავით.

ანა: არ მჯერა! არ მჯერა მაგ სიტყვების!

ლევინი: ანა არკადიევნა, ქრისტე ღმერთს გეფიცებით! ის არის ჩემი მოწმე და ჩემი ცოდვების მომნანიებელი! რამდენი ცრემლი ვღვარე მის წინაშე! *(ლევინი პირჯვარს იწერს, მუხლებზე დგას, ანასკენ მიიხოხავს და ჰკოცნის მას. ანა ჯერ გაურბის, მერე კი ნებდება)*

ანა: კი მაგრამ, კოსტია, შემომხედე, რა დღეში ვარ ჩავარდნილი. რამ მიგიზიდა ჩემკენ ასე? ადრინდელი ანა ხომ აღარც კი არსებობს.

ლევინი: მადლობა ღმერთს, რომ აღარ არის! როცა გავიგე, რომ გადარჩი, გავიფიქრე, ჩემი გახდება-მეთქი. ასეთი ნატანჯი და ნაწამები ასჯერ უფრო ძვირფასი ხარ ჩემთვის. იმასაც კი ვფიქრობ, მხოლოდ ასეთს თუ შევიყვარებდი-მეთქი.

ანა: გონს მოეგე! რაებს ლაპარაკობ! *(ანა თავზე წაივლებს ხელებს)* კიტის და კონსტანტინს რას უპირებ? მათ რა ბედი ეწევათ?

ლევინი: კიტი ახლა გაცილებით უფრო მშვენიერია, ვიდრე უწინ იყო. თუმცა მას აკლია შენი ტანჯვა, შენი გულჩაწყვეტილობა, შენსავით დადენილი სისხლი! მომეცი ნება, ქრილობებზე გეამბორო! შენ ღვთისმშობელი ხარ! ნამდვილი ღვთისმშობელი! ნეტავ შენი სიწმინდის მცირე ნაპერწკალი მაინც მომეცხოს! ღმერთო ჩემო, ანა, რომ იცოდე როგორ გახსენი ჩემს წინაშე ცის კაბადონი და უფსკრულის წიაღიც! დაე, დამწყევლონ და ზურგი მაქციონ ჩემმა ახლობლებმა, მეგობრებმა და შვილებმა! მე მხოლოდ აქ, შენს ფერხთით შევიგრძენი თავი ადამიანად! და ეს არ არის ცოდვა! *(ამოიოხრებს)* რა თქმა უნდა, კიტის.არ ვეტყვი, რაც ჩვენს შორის მოხდა. მე დავუცდი... ჩვენ დაველოდებით ჩვენს დროს.

სცენა 12. იდუმალი სიზმარი

კარენინების სახლი. ლიდია ივანოვნა ალექსეი ალექსანდროვიჩის კაბინეტში შემოდის.

ლიდია ივანოვნა: ალექსეი ალექსანდროვიჩ, უცნაური სიზმარი ვნახე. თითქოს სატელეგრაფო სადგურზე თქვენს სახელზე დეპეშას ვიღებდი. იქ რაღაც უსიამოვნო ამბავი იყო აღნიშნული. ტელეგრაფისტმა იცოდა ეს და დეპეშას მიმალავდა. მე ავედევნე მას და შეტყობინების ფურცელი გამოვართვი. იქ ეწერა: "მატარებელი მოდის..." და შემდეგ აზრი წყდებოდა... მე ვფიქრობდი იმაზე, თუ როდის ჩამოვიდოდა მატარებელი და როგორ გაიგებდა ალექსეი ალექსანდროვიჩი მის მოახლოებას. თუ ვერაფერს გაიგებდა, არც დახვდებოდა მატარებელს. და აქ გამომეღვიძა.

კარენინი: უცნაური სიზმარია. ამინდის ცვალებადობამ ხომ არ გამოიწვია? ან იქნებ რაიმე ისეთი მიირთვით, რომ მუცლის გვრემა მოგგვარათ?

ლიდია ივანოვნა: ანა არკადიევნას არ დაემართოს რამე.

კარენინი: დამშვიდდით, მას არაფერი აღარ დაემართება, რაც შეიძლებოდა დამართნოდა, უკვე დაემართა.

ლიდია ივანოვნა: ალექსეი ალექსანდროვიჩ, მაპატიეთ, მაგრამ გული რაღაც ცუდს მიგრძნობდა და ამიტომ ერთი საინტერესო ქალი მოვიწვიე.

კარენინი: ვინ არის ეს ქალი?

ლიდია ივანოვნა: მარია ნორდსტონი!

კარენინი: მარია ნორდსტონი? ეს პიროვნება, როგორც მე მახსოვს, მედიუმია, რომელიც სპირიტისტულ სეანსებში იღებს მონაწილეობას.

ლიდია ივანოვნა: ის ამავე დროს შესანიშნავი მარჩიელია. გვერდითა ოთახში გვიცდის.

კარენინი: შემოვიდეს.

ლიდია ივანოვნა: *(კარს მიუახლოვდება გამოაღებს)* ქალბატონო ნორდსტონ, გელოდებით.

შემოდის მარია ნორდსტონი.

კარენინი: გამარჯობათ.

ნორდსტონი: საღამო მშვიდობისა, ალექსეი ალექსანდროვიჩ. ლიდია ივანოვნამ თავისი სიზმარი მიამბო და მე ავხსენი ეს სიზმარი. მოსალოდნელია საშინელება. გეშინოდეთ რკინის ცხენის.

კარენინი: რას ნიშნავს რკინის ცხენი? პეტერბურგში ყველგან რკინის ცხენებია - ხიდებზე და პოსტამენტებზე.

ნორდსტონი: მე ჩემი სათქმელი უკვე ვთქვი, თქვენ კიდევ ერთი განსაცდელი გელით.

ქალბატონი ნორდსტონი წყვდიადში უჩინარდება.

სცენა 13. კიდევ ერთი თავშესაქცევი

კარენინების სახლი. კარენინი გაზეთს კითხულობს. ანა ფანჯარასთან ზის.

კარენინი: ანა, შენ საკმაოდ დიდხანს ზიხარ ფანჯარასთან.

ანა: ქუჩა მაინტერესებს და ყველაფერი, რაც იქ ხდება. ადამიანები სადღაც მიდიან. მიქრიან ეკიპაჟები. ყველაფერი ნისლში იძირება. გაზეთებში რაღას წერენ?

კარენინი: სხვადასხვა ამბავს. ჰოლანდიის ტროპიკულ კოლონიებში ახალი მიწისძვრა მომხდარა. მოსკოვის რესტორან "იარში" ვაჭრებს ღრეობა ჰქონდათ. გაიმართა ფრივოლური ოპერეტის პრემიერა. *(კარენინი ეჭვიანად შესცქერის ანას)*

ანა: ალექსეი ალექსანდროვიჩ, ასე რატომ მიყურებ?

კარენინი: მითხარი, ნუთუ არ გსმენია, რომ ბატონი ლევინი იყო პეტერბურგში?

ანა: *(შეშინებული)* არა, მე ეს არ ვიცი. რატომ გაინტერესებს?

კარენინი: უცნაურია, ძალზე უცნაურია.

ანა: რა არის უცნაური, ალექსეი?

კარენინი: უცნაურია, პეტერბურგში იყო და ჩვენი სახლი არ მოინახულა.

ანა: *(ოდნავ გაღიზიანებულია)* საიდან მოიტანე, რომ ის აქ იყო? ვინ გითხრა?

კარენინი: რატომ აღელდი ასე? რამ აგაფორიაქა?

ანა: ვგრძნობ, ალექსეი, ზოგიერთი ჩვენი ნაცნობის უყურადღებობა გაღიზიანებს, მაგრამ მერწმუნე, ლევინის ვიზიტის თაობაზე არაფერი არ ვიცი. რატომ შემეკითხენ

კარენინი: უცნაური შენიშვნაა გაზეთში. "დედაქალაქს ქარიშხალმა გადაუარა, სახურავები ააგლიჯა ნევის პროსპექტზე მდგარ შენობებს და ერობის ყოფილი მოღვაწე კონსტანტინ დმიტრიევიჩ ლევინი შეიწირა. მას ტელეგრაფის ბოძი დაეცა და წამსვე მოუთავა ხელი. ამ დღეებში ცხედარი მოსკოვში, ნათესავებთან გადაასვენეს". *(ანა ზურგს აქცევს კარენინს, თვალები უცრემლდება)* შენ ტირიხარ? ჰო, მართლა ცოდოა. ბედი არ გინდა? მაინცდამაინც ის ერთადერთი ბოძი დაეცა, რომელიც იმ დღეს წაიქცა.

ანა: ალექსეი ალექსანდროვიჩ, რაღაც შეუძლოდ ვარ.

კარენინი: ხომ არა გაქვს სურვილი, რაიმე საკვირველება ნახო?

ანა: ისევ წვეროვანი ქალი?

კარენინი: *(იცინის)* არა, რაიმე უფრო საინტერესოს ნახვა შეიძლებოდა. აი, ვთქვათ, ახალი ფრანგული გასართობი, რომელსაც "სინემა" ან "კინემა" ჰქვია.

ანა: ეს რაღაა?

კარენინი: კედელზე მოძრავი სურათები.

ანა: შარშან რაღაც მსგავსი იყო ბალაგანში.

კარენინი: არა, ეს ახალი ხილია, სრულიად განსხვავებული. მრავალი ჩვენი ნაცნობი ეშურება მის სანახავად. დარბაზი, სადაც დემონსტრირება შედგება, ჩვენგან შორს არ არის.

ანა: კეთილი. წამიძეხი. მე შენ გენდობი.

სცენა 14. მატარებელი შემოდის

პუბლიკა ზის მაყურებლისკენ ზურგშექცევით. ანა კოჭლობით მოდის ქმართან ერთად. ის დაეჭვებულია, ჯდება დარბაზის შუაგულში. ყველას დაძაბული მზერა აქვს. დროდადრო მდუმარედ გადახედავენ ერთმანეთს. დარბაზში შემოდის თაფიორი, მუსიკოსი, რომელიც მიუჯდება როიალს. მერე გამოჩნდება დირექტორი.

დირექტორი: ბატონებო, ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ ტექნიკის ახალი საოცრება, რომელიც საფრანგეთში გამოიგონეს. მას ჰქვია სინემა. სახელწოდება წარმომდგარია ბერძნული სიტყვისაგან კინემატოს, რაც ნიშნავს მოძრაობას. მან შეითავსა ფოტოგრაფიის უპირატესობა და ცხოვრების ილუზია. გაფრთხილებს, ამ აპარატის ზემოქმედება იმდენად ძლიერია, რომ მგრძნობიარე ქალბატონებს შეიძლება ნერვიული შეტევა დაემართოთ, ან გული შეულონდეთ. აი, ეს არის სულ, რისი თქმაც მინდოდა.

ისმის პიანინოს ხმა. ეკრანზე ჩანს მატარებელი. დარბაზში შეშინებული მაყურებლების შეყვირებები გაისმის. სწორედ ამ დროს ანა მთელი ტანით წამოიმართება.

ანა: *(ყვირის. ანას სახეს ტკივილი გადაუვლის. მისი ხმა დამახინჯებულ, ჰიპერტროფირებულ ბანს წააგავს. ეს ხმა რაღაცნაირად ნელა იღერება)* ღმერთო ჩემო! მატარებელი! მატარებელი! რა ძალა მხლეჩს ამ წუთებში! როცა საზარელი მატარებლები შემორბიან საზარელ სადგურებში! რეალობაში მათ სხეული დამიმახინჯეს! საზარელი მატარებლები ერთიანად მანადგურებენ! აღარ არსებობს სანტიმენტები! აღარ არის პირველშობილი კოცნა და ამბორი! მხოლოდ ორთქლმავლის საყვირი გაჰკივის! ორთქლმავლის საყვირების გრიგალი გრგვინავს მთელ რუსეთში! და მილიონობით ადამიანის დასახიჩრებული სხეული რჩება ამ კოსმოსის ლიანდაგებზე. ეს რეალობის სიკვდილია. მისი სრული, არარსებული ანალოგია!

ანა ძირს ეცემა.

ეშვება ფარდა.